ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

შაბათი – კვირა, 30 – 31 იანვარი, 2016 №24 (6950) ფასი: 50 თეთრი



## ევროპა მაღონინასა და მადრიდულ-ბარსელონური ჯახის მოლოდინში

გვ.9

### სტატისტიკა, ფსონები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 30.01 | ბარსელონა-ატლეტიკო | 1.5 | 4.0 | 7.0 |
| 30.01 | ხეტაფე-ბილბაო | 3.5 | 3.25 | 2.15 |
| 30.01 | აუგსბურგი-აინტრახტი | 2.05 | 3.5 | 3.5 |
| 31.01 | ვოლფსბურგი-კიოლნი | 1.67 | 4.0 | 4.8 |
| 31.01 | მილანი-ინტერი | 2.45 | 3.2 | 2.9 |
| 31.01 | კიევო-იუვენტუსი | 6.5 | 3.75 | 1.57 |
| 31.01 | ბორდო-რენი | 2.2 | 3.2 | 3.4 |
| 31.01 | სტ.ეტიენი-პსჟ | 5.5 | 4.0 | 1.57 |

# „თითო გადახურდავებული დოლარიდან 1 ლარი „ქართული ოცნების“ ჯიბეში მიდის“



## მიხეილ მაჭავარიანი: „რაც ცუდი გვქონდა, ხელისუფლებამ ყველაფერი გადაილო“

გვ.3

## ირაკლი ბათიაშვილი: „ლავროვის განცხადება პანკისზე სიმართლე არ არის“

გვ.2

„დღეს შეგვიძლია, რუსეთი მაქსიმალურ კომპრომისზე წამოვიყვანოთ“



## ნარმანიამ 20.000 ლარის „ვენოკი“ შეუკვეთა



გვ.4



## გარდაბნის შედეგი: უარი ვთქვათ კუნთებით თამაშზე!

გვ.2

## რამაზ საყვარელიძე: „ქართული ოცნების“ დემოკრატიულობის მთავარი ტესტი საპარლამენტო არჩევნები იქნება“

გვ.5



## გიგა ბუკია: „ერთსქესიანთა ქორწინებებზე ხმაური ერთმა პატარა ჯგუფმა ატეხა“

გვ.2

ISSN 1987-9385

## ვახტანგ გომელაური: „პანკისის ხეობაში მშვიდი ვითარებაა და იქ არავითარი დაჯგუფებები არ მზადდება“



გვ.2

## სოხუმი: „სომხეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ქართველების ჭკუაზე დადის“

გვ. 4

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

ნონა ცაბაძე

# ირაკლი ბათიაშვილი: „ლავროვის განცხადება პანკისზე სიმართლე არ არის“

## „დღეს შეგვიძლია, რუსეთი მაქსიმალურ კომპრომისზე წამოვიყვანოთ“

**რამდენიმე დღის წინ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა პანკისის ხეობა ისლამური სახელმწიფოს მებრძოლების თავშესაფრად გამოაცხადა.**

უშიშროების ყოფილი შეფი, ირაკლი ბათიაშვილი, „ახალ თაობასთან“ საუბარში რუსი მინისტრის განცხადებას ეხმიანება და მას სახიფათოს უწოდებს.



– როდესაც სახელმწიფოს ეუბნებიან, რომ შენი ერთ-ერთი რეგიონი წარმოადგენს ტერორისტების თავშესაფარს, ეს უაღრესად საგანგაშოა. მით უმეტეს საქართველოს მიმართ ისედაც აგრესიულად განწყობილი სახელმწიფოს მხრიდან, როგორიც არის რუსეთი. რუსეთს არაერთხელ გამოუყენებია პანკისის ხეობის თემა სხვადასხვა პოლიტიკური სპეკულაციისთვის, – აცხადებს ირაკლი ბათიაშვილი.

***– ამ შემთხვევაში რა მიზანს ემსახურებოდა ეს განცხადება?***

– ამ კონკრეტულ შემთხვევაში რა მიზანს ემსახურებოდა ლავროვის განცხადება, რა ქვეტექსტია ჩადებული ამაში, ეს საჭიროებს დაფიქრებას.

***– რა იყო ქვეტექსტი?***

– ეს არ არის შემთხვევით ნათქვამი. ეს ტექსტი მიბმულია რუსეთის სტრატეგიასთან, მის გეგმებთან. რუსეთმა როდესაც წამოიწყო სამხედრო კამპანია სირიაში და აქტიურად შეიჭრა ახლო აღმოსავლეთში, მან, ერთი მხრივ, პოლიტიკური დივიდენდები მიიღო, რადგან საკუთარი ძალის დემონსტრირებას ახდენს. თუმცა სირიაში ხანგრძლივი ომის წარმოება და იმ ჭაობში ჩაფლობა ძალიან სახიფათოა.

***– რა თვალსაზრისით?***

– სახიფათოა იმ უკუეფექტების თვალსაზრისით, რაც შეიძლება ყოველივე ამას მოჰყვეს რუსეთისთვის ჩრდილოეთ კავკასიაში და ცენტრალურ აზიაში. ისლამური სახელმწიფოს სტრატეგიის მიმართულებებს შეადგენს ცენტრალური ავღანეთი, ცენტრალური აზიის მიმართულება და ჩრდილოეთ კავკასიაც. რუსეთი ყოველთვის ელოდება, რომ ამ რეგიონებში შესაძლოა ხანძარი დაინთოს, ამიტომ ის თადარიგს იჭერს და განგაშს აცხადებს ყველა იმ კერასთან დაკავშირებით, რომელმაც შესაძლოა მას სამომავლოდ პრობლემა შეუქმნას.

ერთ-ერთ ასეთ კერად რუსები თვლიან პანკისის ხეობას. ის, რომ პანკისის ხეობიდან მიდიან სირიაში საომრად და მერე უკან ბრუნდებიან, ეს ერთი პრობლემაა, მაგრამ მეორე პრობლემა არის ის, რომ პანკისის ხეობიდან წასულმა და ნაბრძოლმა მებრძოლებმა ხვალ შესაძლოა ჩრდილოეთ კავკასიაში გადაინაცვლონ.

***– რა ხდება დღეს პანკისის ხეობაში? ხელისუფლება აცხადებს, რომ ლავროვის განცხადებები საფუძველს არის მოკლებული. ასეა?***

– ლავროვი საუბრობს იმის თაობაზე, რომ პანკისის ხეობაში არის დღეს საწვრთნელი ბაზები, სადაც მებრძოლების გადამზადება მიდის. ჩემი მონაცემებით, მსგავსი რამ არ ხდება, ამის თაობაზე არანაირი ინფორმაცია არ მომეპოვება.

***– რეალობას მოკლებულია ეს განცხადება?***

– ეს არანაირ რეალობას არ შეესაბამება. ასე იოლად და ადვილად ნუ წარმოვიდგენთ მებრძოლთა გადამზადების ცენტრების არსებობას, თუნდაც ძალიან კონსპირირებულს და ღრმად შეფარულ მსგავს რამეს რომ ჰქონდეს ადგილი, ეს ყველა შემთხვევაში მოხვდებოდა ჩვენი სპეცსამსახურების თვალსაწიერში.

დღეს საწვრთნელი ბაზებისა და გადამზადების ცენტრების შექმნა პანკისის ხეობაში წარმოუდგენლად მიმაჩნია. საფრთხე რომ არსებობს, ეს ცხადია. მხოლოდ საქართველოდან კი არა, ევროპის ნებისმიერი ქვეყნიდან მიდიან სირიაში საბრძოლველად და მერე უკან ბრუნდებიან. ეს პროცესი რომ სახელმწიფოს მხრიდან სერიოზულ კონტრზომებს საჭიროებს, ამაში ორი აზრი არ არის.

***– რამდენად სახიფათოა ლავროვის განცხადება და რას უნდა ველოდოთ რუსეთისგან?***

– ეს იმდენად ყბადაღებული განცხადებაა, იმდენად წყალზე დაწერილი განცხადებაა, რომ ამის საფუძველზე რუსეთმა რომ რაღაცა მოიმოქმედოს, რაღაცა წამოიწყოს ამ საფუძვლით, რომ ტერორისტებს ებრძვის, წარმოუდგენლად მიმაჩნია.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ არანაირი კონკრეტული მტკიცებულებები არ დასახელებულა, გარდა ცარიელი განცხადებებისა და ვერც იქნება მსგავსი მტკიცებულებები წარმოდგენილი. ვიმეორებ – არანაირი მონაცემები არ არსებობს, რომ მუდმივმოქმედი გადამზადების ცენტრები არსებობდეს გინდა პანკისის ხეობაში და გინდაც საქართველოს სხვა რომელიმე ადგილას.

***– რუსეთი დღეს მძიმე სიტუაციაშია, სერიოზულ ბლოკადაშია და ამ დროს უფრო საშიში ხდება. რამდენად არსებობს რუსეთიდან მომდინარე საფრთხეები?***

– დღეს რუსეთი მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაშია. სავალუტო ფონდმა კიდევ უფრო მძიმე პროგნოზები გააკეთა რუსეთის ეკონომიკის ვარდნასთან დაკავშირებით 2016 წელს. გარდა ამისა, რუსეთმა თავი შეყო სერიოზულ ხაფანგში.

***– რას გულისხმობთ?***

– სირიის ომი ხაფანგია. თავიდან ამ სიტუაციამ რუსეთს პოლიტიკური დივიდენდები მოუტანა, მაგრამ ეს ხანმოკლე ომი ვერ იქნება, ყოველივე ეს სერიოზულ რესურსებთანაა დაკავშირებული, ესეც სერიოზული ხარჯია რუსეთისთვის. გარდა ხარჯისა, ამას სერიოზული უკუშედეგები შეიძლება ჰქონდეს. ეს ყველაფერი რუსეთს უბიძგებს იქითკენ, რომ მას რაღაც ახალი ნაბიჯი სჭირდება, ამ სიტუაციიდან გამოსავალი რომ ნახოს.

***– რა იქნება ეს გამოსავალი?***

– რთული სათქმელია. როდესაც რუსეთი ასეთ რთულ სიტუაციაშია, სწორედ ახლა არის საუკეთესო მომენტი საქართველოს ხელისუფლებისათვის, რომ გადადგას გაბედული ნაბიჯი და რუსეთთან წავიდეს სერიოზულ პოლიტიკურ დიალოგზე. ეს ურთიერთობები უნდა დაიწყოს არა ბორჯომით და მწვანილით, არამედ აფხაზეთითა და სამაჩაბლოთი. როდესაც რუსეთს უჭირს, არ არის გამორიცხული, რომ წამოვიდეს ბევრ კომპრომისზე.

***– კონკრეტულად?***

– მას ახლა ძალიან აწყობს საქართველოსთან ურთიერთობის დათბობა და დარეგულირება. ყირიმის ანექსიის მერე აფხაზეთი მისთვის რაიმე განსაკუთრებული ინტერესის სფეროს აღარ შეადგენს. მისთვის უპირველესი საქმეა, რომ საქართველოსთან ურთიერთობის დარეგულირებით კიდევ უფრო განიმტკიცოს თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობა.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ამ სიტუაციაში, როდესაც რუსეთს უჭირს, მაქსიმალური სარგებელი მივიღოთ ამ ურთიერთობიდან. მაქსიმალურ კომპრომისზე უნდა წამოვიყვანოთ. სწორედ ახლა არის მომენტი, როდესაც შესაძლებელია, ყინული დავძრათ. შესაძლოა, ხვალ ეს მომენტი აღარ იყოს. რუსეთი თუ წელში გაიმართა, მერე ის საერთოდ აღარ გამოიხედავს აქეთ. თუ გამოიხედავს – სულ სხვანაირად.

# ვახტანგ გომელაური: „პანკისის ხეობაში მშვიდი ვითარებაა და იქ არავითარი დაჯგუფებები არ მზადდება“



სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელ ვახტანგ გომელაურის განცხადებით, პანკისში სრულიად მშვიდი ვითარებაა და იქ არავითარი დაჯგუფებები არ მზადდება, ამის შესახებ გომელაურმა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვის განცხადების კომენტირებისას აღნიშნა.

ვახტანგ გომელაური ასევე გამოეხმაურა გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ კავკასიის ბატალიონი, რომელსაც ახმედ ჩატაევი ხელმძღვანელობს, რუსეთსა და ევროპის ქვეყნებში ტერაქტებს გეგმავს.

**ვახტანგ გომელაური:**

– პანკისს რაც შეეხება, იქ სრულიად მშვიდი ვითარებაა. თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ იქ არავითარი დაჯგუფებები არ მზადდება.

რაც შეეხება ახმედ ჩატაევს, ის კანონიერად გათავისუფლდა და შეცდომა იყო თუ რა იყო, ეს გადაწყვეტილება იყო მიღებული.

ჩვენს ქვეყანაში არ არის ეს ადამიანი და აქედან გამომდინარე, პასუხს ვერ გავცემთ ვერც ერთ ქვეყანას, თუ რას ამზადებს ის და რას გეგმავს. თუ ჩვენ გვექნება რაიმე ინფორმაცია, რა თქმა უნდა, ჩვენს პარტნიორ ქვეყნებს მივაწვდით. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, პანკისის ხეობაში სიმშვიდეა და არანაირი პრობლემა არ არსებობს დღესდღეობით. როგორც სხვა ხეობებში, გრძელდება იქ ცხოვრება.

# გარდაბნის შედეგი: უარი ვთქვათ კუნთებით თამაშზე!



28 იანვარს გარდაბანი ქართული პოლიტიკური ცხოვრების ცენტრი გახდა – გამგებლის რიგგარეშე არჩევნები ჩატარდა.

ნაციონალებისა და „ქართული ოცნების“ ლიდერები მყარად იცავდნენ გარდაბნის საარჩევნო უბნებს.

არჩევნები პოზიცია-ოპოზიციისთვის მოსათელ არენად იქცა. როგორც ნაციონალი სერგო რატიანი ამბობს, მათ აინტერესებდათ, რა მეთოდებით იბრძოლებდნენ „ქართული ოცნების“ ლიდერები ყოფილი ფეხბურთელის, გოჩა ჯამარაულის გასამარჯვებლად.

კაცმა რომ თქვას, „ოცნებას“ გარდაბანში არ გამოუყენებია საარჩევნო მარათონის არც ერთი „აკრძალული ილეთი“, რომელიც ნაციონალებმა არ იციან.

ქრონოლოგიურად რომ გადავხედოთ, მზადება ჩვეულებრივ, ქართულ-ტრადიციული საარჩევნო მეთოდებით დაიწყო. კანდიდატები ხვდებოდნენ მოსახლეობას, ეცნობოდნენ გარდაბნელთა პრობლემებს, მაგრამ განსხვავება იყო დაპირებებში. ჯამარაული ჰპირდებოდა პრობლემების მოგვარებას, ნაციონალი კანდიდატი კი – ჯამარაულზე უკეთეს გამგებლობას.

არც ეს უნდა იყოს ნაციონალებისთვის უცხო, წლების განმავლობაში „გვჯეროდა“, რომ მხოლოდ მათ შეეძლოთ ამომრჩევლის მობილიზება, გაღიზიანების მიზეზიც სწორედ ეს გახდა, მათ ვერ დაიჯერეს და „ოცნებას“ ვერ აპატიეს ამომრჩევლის მობილიზება.

საარჩევნო უბნებზე მხარდამჭერების ნაკლებობას ნამდვილად არ განიცდიდნენ ნაციონალები, მაგრამ ასეთი ყოფილა საქართველოში ოპოზიციის ბედი, ზოგჯერ „კუნთებიც“ აღარ მუშაობს.

* * *

ცესკოს მონაცემებით, გარდაბნის გამგებლის არჩევნებში „ქართული ოცნების“ კანდიდატმა გოჩა ჯამარაულმა გაიმარჯვა.

მან ხმების 70,15% მიიღო, ხოლო ნაციონალური მოძრაობის კანდიდატმა ბესიკ კახაბრიშვილმა – 29.85%.

შესაბამისად, ჯამარაულმა 16.104 ხმა მიიღო, ხოლო კახაბრიშვილმა – 6.851.

გარდაბნის მუნიციპალიტეტში ამომრჩეველთა აქტივობამ 33,13% შეადგინა.

გამარჯვებული ფეხბურთელი გოჩა ჯამარაულია, მოგებული – „ქართული ოცნება“. გაუმართლა თუ არა გარდაბნელ ამომრჩეველს, დრო გვიჩვენებს.

წინ ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებია, იმედია, ყველა მხარდამჭერთა მობილიზებაზე იმუშავებენ და არა – კუნთებით თამაშით პროვოკაციების მოწყობაზე.

არ დაგავიწყდეთ ქართველი ამომრჩეველი, ბიჭებო, თორემ საარჩევნო მეთოდები დაგიძველდათ.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „თითო გადახურდავებული დოლარიდან 1 ლარი „ქართული ოცნების“ ჯიბეში მიდის“

## მიხეილ მაჭავარიანი: „რაც ცუდი გვქონდა, ხელისუფლებამ ყველაფერი გადაიღო“

შორენა მარსაგიშვილი



**რა გადაიღო ხელისუფლებამ ნაციონალებისგან, რა იმედები გაუჩინათ გარდაბანში ნაგებულმა არჩევნებმა, რა პირობა მიიღეს გიორგი კვირიკაშვილისაგან? – ამის შესახებ „ახალ თაობას" ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი მიხეილ მაჭავარიანი ესაუბრება.**

**მიხეილ მაჭავარიანი:**

– გარდაბანში არჩევნების მოგება რომ რთული იქნებოდა, ეს ძალიან კარგად ვიცოდით. ისიც კარგად ვიცით, რომ ქვემო ქართლში, როგორც წესი, არჩევნებს ის ძალა იგებს, რომელიც ხელისუფლების სათავეშია. ვიცოდით, რომ გაგვიჭირდებოდა, მაგრამ საკუთარი ძალების გამოსაცდელად მივიღეთ ამ არჩევნებში მონაწილეობა.

ჩვენი ოპონენტებისგან განსხვავებით, მოსახლეობასთან ბევრი შეხვედრა ავირჩიეთ. ისინი კულუარულ მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ. ასევე გვაინტერესებდა, რა რესურსის გამოყენებას აპირებდა „ქართული ოცნება“ გარდაბანში. მათ ყველა რესურსი გამოიყენეს, მათ შორის, ცნობილი ვაჟა ლელუაშვილიც.

***– ეს ვაჟა ლელუაშვილი თქვენიანი არ იყო?***

– თავიდან ლევან მამალაძის თანაშემწე იყო, ჩვენ დროს კუდის უფროსის მოადგილედ მუშაობდა. მეოცნებეებს ხშირად უყვართ საუბარი სისტემურ დანაშაულზე. სწორედ ლელუაშვილისნაირი ადამიანები სჩადიოდნენ სისტემურ დანაშაულს და ყველა ხელისუფლებას უფუჭებდნენ საქმეს.

ეს ადამიანი მეოცნებეების მხარეს შემთხვევით არ აღმოჩენილა. ის რამდენიმე დანაშაულში იყო ბრალდებული და ახლა ძალიან მალე უნდა გაუფორმონ საპროცესო. საინტერესო იქნება, რა სახის საპროცესო გაფორმდება. უკვე მესამე არჩევნებია, რაც ლელუაშვილი „ქართულ ოცნებაზე“ მუშაობს.

ხელისუფლებამ გარდაბანში ვირუსიანი და გრიპიანი ადამიანებიც წაიყვანა. იქვე ვნახეთ კარგად ნავარჯიშები ტიპები, მოჭიდავეების ყურები რომ ჰქონდათ, ახლობლების სანახავად წასვლა მაინცდამაინც არჩევნების დღეს რომ გადაწყვიტეს.

ამ არჩევნებზე ჩვენ, რა თქმა უნდა, ვიბრძოდით გამარჯვებისთვის. თვითმმართველობის არჩევნებზე ქალაქ გარდაბანში ძალიან კარგი შედეგი გვქონდა. ახლა ხელისუფლებამ მთელი რესურსი გადმოისროლა და თავის სასარგებლო შედეგი მიიღეს. არა უშავს, რაღაცები დავინახეთ და საპარლამენტო არჩევნებისთვის უკეთესად მოვემზადებით.

არც ის არის ცუდი, ეს არჩევნები „ოცნების“ კანდიდატმა რომ მოიგო. როგორც დავით ნარმანია იყო თბილისელებისთვის ტესტი, ასევე იქნება გოჩა ჯამარაული გარდაბნელებისთვის.

***– რას ნიშნავს, ნარმანია თბილისელებისთვის ტესტი იყოო?***

– იმას, რომ დღეს თბილისელებს „უტყდებათ“, ნარმანიას ხმა რომ მისცეს. ასევე მოხდება ჯამარაულის შემთხვევაშიც. ახლავე გეუბნებით, ის ვერ იქნება კარგი გამგებელი. ხელისუფლების მხარდამჭერები მალე მიხვდებიან, რანაირი გამგებელი აარჩევინეს მათ.

***– კარგი გამგებელი რატომ ვერ იქნება, რადგან ფეხბურთელი იყო?***

– არა, არა, არა. ფეხბურთელობა რა შუაშია? ფეხბურთი ძალიან მიყვარს და ჩემი ერთ-ერთი საყვარელი ადამიანი მესია.

***– არც ეგ იქნებოდა გარდაბნის კარგი გამგებელი?***

– აპაპაპ, მესის რა უნდა გარდაბნის გამგებლად? ჯამარაული სადღაც შუადღისთვის ჩავა გარდაბანში და მერე წამოვა უკან. ეს იქნება მისთვის დასაქმება. აქ მთავარი ისაა, რომ კალაძემ თავისი კაცი სადღაც გაიყვანა. სიტყვაზე ვამბობ, იქ გამგებლად საშა ჩივაძე რომ აერჩიათ, ნამდვილად კარგი გამგებელი იქნებოდა, იმიტომ, რომ ორგანიზებული კაცია.

***– ჯამარაული იქეთ იყოს და გარდაბნის არჩევნებიდან რა დასკვნა გამოიტანეთ? წარუმატებლობის მიზეზი შემთხვევით თქვენი წარსული ხომ არ არის? ან იქნება სხვა რამე გაკლიათ?***

– არაფერი არ გვაკლია და ამას საპარლამენტო არჩევნებზე დაინახავს ყველა. გარდაბნის არჩევნებზე 400 ადამიანს ჩავუტარეთ ძალიან კარგი ტრეინინგი. ისინი საარჩევნო კომისიებში ვავარჯიშეთ და იმ ადგილებზე ხელისუფლებას ხელი არ გავანძრევინეთ.

პირველად მოხდა, რომ საარჩევნო კამპანია ტელევიზიების გარეშე ჩავატარეთ და პირდაპირ ხალხთან გვქონდა კონტაქტი. დავტესტეთ ჩვენი რაღაც მესიჯები. რაც მთავარია, ჩვენი ამომრჩეველი შემოვიკრიბეთ. 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნებთან შედარებით, ახლა უფრო მეტი ხმა ავიღეთ. მომავალში კიდევ უფრო მეტი იქნება.

***– ისე, ახლაც გეგონათ, რომ გარდაბანს თქვენ მოიგებდით, მაგრამ....***

– ახლა სხვა სიტუაცია იყო. ხელისუფლებამ ყველა რესურსი გამოიყენა და არაფერზე უკან არ დაიხიეს. საპარლამენტო არჩევნებზე ასე აღარ იქნება. ახლა ჩვენ მათ წინააღმდეგ მარტონი ვიყავით. შემოდგომაზე კი გამოჩნდებიან ძლიერი ოპონენტები, რომლებიც „ქართული ოცნების“ ხმებზე სხედან.

პირობითად ვიტყვი, ნინო ბურჯანაძის მხარდამჭერი ჩვენს მხარეს არ გადმოვა, მაგრამ აუცილებლად წაართმევს ხმებს ხელისუფლებას. იგივე შემიძლია ვთქვა ირაკლი ალასანიას, ირმა ინაშვილის და შალვა ნათელაშვილის მხარდამჭერებზე.

***– საპარლამენტო არჩევნებისთვის როდის იწყებთ მზადებას?***

– ახლო მომავალში დავიწყებთ, მანამდე გავაკეთებთ ანალიზს. დეტალურად შევისწავლით ცალკე გარდაბანს, ცალკე ქართულ და ცალკე თელეთის ზონას. გვაინტერესებს, სად რა ფაქტორებმა იმუშავა. ამის შემდეგ გადავეწყობით საარჩევნო რეჟიმზე. ამ დღეებში გაიმართება პოლიტსაბჭო და მიღებული იქნება გადაწყვეტილება. მერე ხელისუფლებას მოჭიდავისყურებიანი ბიჭები ველარ უშველის.

***– არჩევნებზე მოჭიდავეები და მოჭიდავისყურებიანი ბიჭების გამოყენება თქვენ მიერ დანერგილი მეთოდია, არა?***

– ჩვენ მიერ არის დანერგილი. ვაღიარებ, რომ რაც კი რაიმე ცუდი მეთოდი გვქონდა, ყველაფერი „ქართულმა ოცნებამ“ გადაიღო. ეს ეხება საარჩევნო კანონს, სპეცუბნებს. სხვათა შორის, სპეცუბნებზე საინტერესო რეზულტატი დაჯდა.

***– რა რეზულტატი?***

– აი, ამას არ ვიტყვი. შედეგი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესოა. თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ ეგრე არაა, როგორც „ქართულ ოცნებას“ ეგონა. ეგენი ახლა დატკბნენ ამ გამარჯვებით, ჩვენ ქვეყნის მთავარ გამოწვევაზე – ეკონომიკაზე გადავალთ. უკვე 3 კვირაა, პრემიერ გიორგი კვირიკაშვილისგან ველოდებით პასუხს, გვაინტერესებს, განიხილავს თუ არა ჩვენს ანტიკრიზისულ პროგრამას. და-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# გიგა ბუკია: „ერთსქესიანთა ქორწინებებზე ხმაური ერთმა პატარა ჯგუფმა ატეხა“

## „ინტერპარტიული ჯგუფის დიალოგი ხელისუფლებასთან დადებითი მოვლენაა“

მარიამ მჭედლიშვილი



**ბოლო დროს საარჩევნო საკითხებით დაკავდნენ ქვეყნის პრემიერი და პრეზიდენტი. მათ შეხვედრები გამართეს ინტერპარტიულ ჯგუფთან. ამის პარალელურად კეთდებოდა განცხადებები საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელთა მხრიდან. ეს განცხადებები ეწინააღმდეგებოდა პრემიერისა და პრეზიდენტის მოსაზრებებს.**

პარლამენტის უმრავლესობის წარმომადგენელი, ფრაქცია კონსერვატორების თავმჯდომარე გიგა ბუკია „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ ინტერპარტიული ჯგუფის დიალოგი ხელისუფლებასთან დადებითი მოვლენაა.

**გიგა ბუკია:**

– ძალიან კარგია, რომ ოპოზიციის იმ ნაწილმა, რომელიც ცოტა ხნის წინ ულტიმატუმებით გველაპარაკებოდა, კონსტრუქციული საუბარი დაიწყო ხელისუფლებასთან. საარჩევნო საკითხებზე საჭიროა თანხმობის მიღწევა. ეს ადვილი არ არის. ჩვენ კონსენსუსის გამოცდილება კოალიციაშიც მივიღეთ. „ქართულ ოცნებაში“ 5 სუბიექტი და 7 ფრაქციაა. აზრთა სხვადასხვაობა კოალიციის შიგნითაც იჩენს ხოლმე თავს. საბოლოოდ, ჩვენ თანხმობას ვაღწევთ.

ჩვენი საარჩევნო რეფორმის არსი ცნობილია. საარჩევნო რეფორმა ორეტაპიანია. ჩვენ მოვახდინეთ საარჩევნო ოლქების გათანაბრება. ამის შედეგად ყველა ამომრჩევლის ხმას ერთნაირი წონა მიეცა. მაჟორიტარული არჩევნების ბარიერი გაიზარდა 50%-მდე. 2020 წლის არჩევნებისთვის პარლამენტი მთლიანად პროპორციული წესით აირჩევა.

ამ დღეებში პრემიერი ოპოზიციას დაჰპირდა, რომ გაუქმდება საარჩევნო სპეცუბნები. ესეც წინგადადგმული ნაბიჯია. მზად ვართ, სხვა საკითხებიც მშვიდად, საქმიან ვითარებაში განვიხილოთ.

***– არსებობენ პარტიები და გაერთიანებები, რომლებიც ინტერპარტიულ ჯგუფში არ შედიან. მათი დიდი ნაწილი მოითხოვს თანაბარ სასტარტო საარჩევნო პირობებს ყველა სუბიექტისათვის.***

– მათ ვურჩევდი, წერილობით ჩამოაყალიბონ, რას გულისხმობენ. პარტიის შექმნა, მისი პროგრამის წარდგენა, ამომრჩევლებთან შეხვედრები, მედიაში რაიმე კონცეფციის განთავსება ყველას შეუძლია. ამომრჩევლის არჩევანში ჩვენ ვერ ჩავერევით. თუ პარტია აქტიურობს, მისი საქმიანობა შუქდება საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხზე. რუსთავი 2-ს, რომელიც ჩვენც გვებრძვის, ხომ ვერ მოვთხოვთ ამა თუ იმ თემის გაშუქებას? საქართველოში 200-ზე მეტი პარტიაა. ვისაც აქტიურობა უნდა, ის იაქტიურებს.

***– „ქართული ოცნების“ კოალიციის დაშლის თემაზე ისევ დიდი მითქმა-მოთქმაა.***

– ჭორები კოალიციაზე მუდმივად ვრცელდება. ამას განაპირობებს ის, რომ „ქართული ოცნება“ რამდენიმე სუბიექტისგან შედგება. ჩვენ გადაწყვეტილებებს მსჯელობისა და კამათის შემდეგ ვიღებთ. ამის გამო გვაბრალებენ, რომ კოალიცია იშლება.

2012 წელს ჩვენ ქვეყნის წინაშე ავიღეთ პასუხისმგებლობა. ამის შესაბამისად ვმოქმედებთ. ვიწრო პარტიული ინტერესები არ გვამოძრავებს. კონსერვატორები კოალიციის დატოვებას არ ვაპირებთ. არც სხვა რომელიმე სუბიექტს გამოუთქვამს ამის სურვილი. ასე რომ, კოალიციას სამომავლო გეგმები აქვს.

***– საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორება თუ არის მოსალოდნელი?***

– ეკონომიკა და ვალუტის კურსი ჩვენი მთავარი გამოწვევაა. მდგომარეობა რთულია, მაგრამ ის საგარეო ფაქტორებითაა განპირობებული. ჩვენ ღია ეკონომიკა გვაქვს და მსოფლიო და რეგიონული კრიზისი საქართველოზეც აისახება ხოლმე. საქართველოს ხელისუფლების დამსახურებაა ის, რომ ჩვენს მეზობელ სახელმწიფოებზე უკეთესი მდგომარეობა გვაქვს. ამ სახელმწიფოებში უფრო მწვავე კრიზისია. მომავალი ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა. ასეთ დამაიმედებელ პროგნოზებს საერთაშორისო ორგანიზაციებიც აკეთებენ.

***– საზოგადოების დიდ ნაწილს აღელვებს საქართველოში ერთსქესიანთა ქორწინებების დაკანონება, რაც ამ დღეებში აქტუალური გახდა.***

– მღელვარების საფუძველი არ არსებობს. მოქალაქეების ერთმა პატარა ჯგუფმა გადაწყვიტა, თავი ამით გააცნოს საზოგადოებას. ამ ადამიანებმა ჩათვალეს, რომ ერთსქესიანთა ქორწინების დაუკანონებლობა ლახავს ადამიანის უფლებებს. მათ მიმართეს საკონსტიტუციო სასამართლოს.

დარწმუნებული ვარ, საკონსტიტუციო სასამართლო მათ მხარს არ აუბამს. საქართველოში ქორწინებად დარჩება კავშირი ქალსა და მამაკაცს შორის. უმცირესობებს არავინ ჩაგრავს. ამიტომ, ვფიქრობ, რომ ზედმეტი აჟიოტაჟი ამ საკითხებზე არ იქნება.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# სოხუმი: „სომხეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ქართველების ჭკუაზე დადის“

## ირაკლი ტუჟბა ერევანს პრეტენზიებს უყენებს

შორენა მარსაგიშვილი

**აფხაზებმა მთელი ჯვირა ქართველებისა და სომხების გმობაში გაატარეს. „ახალი თაობა“ უკვე წერდა, რომ თბილისის მოთხოვნით სომხეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ერევნის „არარატს“ სოხუმში ჩასვლა და იქ ამხანაგური მატჩის ჩატარება აუკრძალა.**

სომხური უარით აღშფოთებას, უბრალო მოკვდავების გარდა, უკვე ოფიციალური პირებიც გამოხატავენ.

აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური განყოფილების უფროსი ირაკლი ტუჟბა ამბობს, რომ მისი სომეხი კოლეგები ქართველების დაკრულზე ცეკვავენ.

– ძალიან სამწუხაროა, რომ სომხეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ქართველების ჭკუაზე დადის. კიდევ უფრო სამწუხაროა, რომ ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა ერევანი თბილისს აფხაზეთის ტოტალურ იზოლაციაში მოქცევაში ხელს უწყობს, – განაცხადა აფხაზურ მედიასთან საუბარში ტუჟბამ.

პოლიტიკური განყოფილების უფროსი გასულ წელს მომხდარ ინციდენტსაც იხსენებს:

– 2015 წელს სომხურმა მხარემ ერევანში მიიწვია აფხაზი მოჭიდავეები. მათ საერთაშორისო ტურნირში უნდა მიეღოთ მონაწილეობა. ქართულმა დელეგაციამ ამაზე ერთი ამბავი ატეხა, ჩვენი ბიჭები შეჯიბრებიდან მოხსნეს, რაც ლამაზი საქციელი არ არის.

საგარეო უწყების წარმომადგენელი სომხური მხარის ქმედებებს აფხაზეთის მიმართ არამეგობრულად მიიჩნევს. ამასთან, ის ერევანს შეახსენებს, რომ დღეისათვის აფხაზეთში ათასობით ეთნიკური სომეხი ცხოვრობს.

– ადგილი აქვს არამეგობრული დამოკიდებულების გამოვლინებას, არადა, ჩვენს ხალხებს შორის დიდი ხნის მეგობრული კავშირები არსებობს. დღეისათვის აფხაზეთში საკმაოდ მრავლად ცხოვრობენ სომხები. ისინი ჩვენი მრავალრიცხოვანი რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ, – აღნიშნავს ტუჟბა.

პოლიტგანყოფილების უფროსი ერევანს იმასაც შეახსენებს, თუ როგორი ტკბილი და საამური ურთიერთობა აქვს სოხუმს სომხეთის მიერ ნაფერებ მთიან ყარაბაღთან.

აფხაზებს იმედი აქვთ, რომ ერევანი მალე გამოასწორებს იმ შეცდომებს, რომლებიც ბოლო ხანებში დაუშვეს.

– ჩვენ იმედი გვაქვს, რომ სომხეთის ხელისუფლება აფხაზეთის მიმართ დამოკიდებულებას შეცვლის. იმედი გვაქვს რომ ერევანი გაემიჯნება იმ არაჰუმანურ პოლიტიკას, რომელსაც საქართველოს ახორციელებს. აფხაზეთთან მიმართებით თბილისის მიერ წარმოებული პოლიტიკა საერთაშორისო ნორმებს არღვევს, – აცხადებს აფხაზი ჩინოსანი.

მისი განცხადებით, საქართველო ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ აფხაზეთი როგორც ჰუმანიტარულ-კულტურულ, ისე სპორტულ იზოლაციაში მოაქციოს.

* * *

აფხაზებს ერევნიდან ამ ვაებაზე პასუხი ჯერ არ მიუღიათ. სომხები თავს რამენაირად გაიმართლებენ, თუმცა, სანამ რამეს მოიფიქრებენ, აფხაზებსა და სომხებს შორის ვითარება შესაძლოა კიდევ უფრო გამწვავდეს.

აფხაზეთში უკვე ღიად გამოხატავენ უკმაყოფილებას იქ მცხოვრები სომხების მიმართ. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ დღეს აფხაზეთში სომხები უფრო მრავლად სახლობენ, ვიდრე აფხაზები.

როგორც აფხაზური მედია წერს, მათი დიდი ნაწილი აფხაზეთში ჩაწერის გარეშე ცხოვრობს.

სომხების მიმართ უკმაყოფილება ღიად დააფიქსირა აიდგილარას წევრმა აიდამირ ხიშბამ. მან რამდენიმე თვის წინ საგანგებო მიმართვაც გაავრცელა. როგორც ამბობენ, აფხაზთა დღევანდელი ლიდერი სომხების მიმართ მთლად კარგად განწყობილი არ არის.



# ნარმანიამ 20.000 ლარის „ვენოკი“ შეუკვეთა

შორენა მარსაგიშვილი

**დედაქალაქის მერია თბილისელების გაოცება-გაოგნებას აგრძელებს. ერს კუბოებზე გამოცხადებული ტენდერები მონელებული არ გვქონდა, რომ დავით ნარმანიას უწყებამ დამატებით „ვენოკებიც“ შეუკვეთა.**



| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 6 | ყვავილების კალათა - პარამეტრები: სიმაღლე - 70 სმ, სიგრძე - 50 სმ, სიგანე - 20 სმ; შემადგენლობა: ლილია აზიატი - 3 ტოტი; ვარდი--8 ტოტი; გერბერი - 10 ტოტი; გიფსოფილა (მილიონსტარი- წვრილწვრილი ყვავილების განშტოებები) - 5ტოტი; მიხაკი (ყვავილების განშტოებები ერთ ტოტზე მინიმუმ 4ც ყვავილით) -10 ტოტი; ვაქსი ან ფლოქსი - 5 ტოტი ; გლადიოლუსი -3 ტოტი, ოაზისი -5ც; რკინის სადგამი (მოწნული ხის მასალით დაფარული) - 1 ცალი. | ლილია აზიატი | 3 | 5 |
| | | ვარდი-ყვავილი ტოტით | 8 | |
| | | გერბერი-ყვავილი ტოტით | 10 | |
| | | გიფსოფილა (მილიონსტარი) | 5 | |
| | | ოაზისი | 5 | |
| | | მიხაკი (ყვავილების განშტოებები ერთ ტოტზე მინიმუმ 4ც ყვავილით) | 10 | |
| | | ვაქსი ან ფლოქსი | 5 | |
| | | გლადიოლუსი | 3 | |
| | | რკინის სადგამი მოწნული გაფორმებული | 1 | |
| 7 | ყვავილების კალათა - პარამეტრები: სიმაღლე - 50 სმ, სიგრძე - 30 სმ, სიგანე - 20 სმ; შემადგენლობა: ლილია აზიატი - 2 ტოტი; ირისი - 5 ტოტი; ქრიზანთემა- 5 ტოტი (გარდა ლურჯი ქრიზანთემისა); მიხაკი - (ყვავილების განშტოებები ერთ ტოტზე მინიმუმ 4 ყვავილით) - 10 ტოტი ; გერბერი - 5 ტოტი; ოაზისი - 3ც; რკინის სადგამი (მოწნული ხის მასალით დაფარული) - 1 ცალი. | ლილია აზიატი | 2 | 12 |
| | | ირისი | 5 | |
| | | ქრიზანთემა | 5 | |
| | | მიხაკი-ყვავილების განშტოებები ერთ ტოტზე მინიმუმ 4ც | 10 | |
| | | გერბერი | 5 | |
| | | ოაზისი | 3 | |
| | | რკინის სადგამი მოწნული გაფორმებული | 1 | |
| 8 | თაიგული - შემადგენლობა: ორქიდეა (მინიმუმ 25 ყვავილი ტოტზე) - 1 ტოტი; ქრიზანთემა (ყვავილების განშტოებები ერთ ტოტზე მინიმუმ 4 ყვავილით) - 4 ტოტი; გიფსოფილა (მილიონსტარი)-წვრილწვრილი ყვავილების განშტოებები - 2ტოტი; ჰოლანდიური ფოთლების მიქსი - 1 შეკვრა (10 ტოტი); შესაფუთი მასალა (თუქა) - 1ც. | ორქიდეა- | 1 | 4 |
| | | ქრიზანთემა | 4 | |
| | | გიფსოფილა | 2 | |
| | | ჰოლანდიური ფოთლების მიქსი | 1 შეკვრა (10ტოტი) | |
| | | შესაფუთი მასალა (თუქა) | 1 | |
| 9 | თაიგული - შემადგენლობა : ალსტრომერია - 4 ტოტი; ვარდი - 5 ტოტი; გიფსოფილა (მილიონსტარი - წვრილწვრილი ყვავილების განშტოებები) - 2 ტოტი; ქრიზანთემა ( ყვავილების განშტოებები - ერთ ტოტზე მინიმუმ 4 ყვავილით (გარდა ლურჯი ქრიზანთემისა)) - 2 ტოტი; მწვანე მასალა (ევკალიპტი, ბარდა, ასპარაგუსი ) - 3 შეკვრა; შესაფუთი მასალა (თუქა) -1ც. | ალსტრომერია | 4 | 11 |
| | | ვარდი | 5 | |
| | | გიფსოფილა | 2 | |
| | | ქრიზანთემა | 2 | |
| | | მწვანე მასალა (ევკალიპტი,ბარდა, ასპარაგუსი ) | 3 შეკვრა | |
| | | შესაფუთი მასალა(თუქა) | 1 | |

ისე ნუ გაიგებთ, რომ დედაქალაქის მერია მარტო ჩვენს იმქვეყნად გასტუმრებაზე ფიქრობს. ნარმანიას კანტორა მიმდინარე წელს კონცერტებს და ტაშ-ფანდურსაც გვიპირებს.

როგორც მონიტორინგის ცენტრ „მედიატორში“ „ახალ თაობას“ განუცხადეს, მიმდინარე წელს მერიას არანაირი ღონისძიება დაგეგმილი არ აქვს, მაგრამ კონცერტებისთვის აპარატურის შეძენაზე უკვე გამოაცხადეს ტენდერი.

– ჯერაც დაუგეგმავი ღონისძიებების აპარატურით მომსახურებაზე 3 ახალი ტენდერი გამოაცხადეს. ჯამში სამივე ტენდერის ღირებულება 445.000 ლარს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ ამავე მიმართულებით მერიამ გასული წლის დეკემბერშიც გამოაცხადა 3 ტენდერი. ამ სამიდან 2 ჩაიშალა. იმ ერთი მოგებული ტენდერიდან კი ახლაც თავისუფლად შეიძლება დაკონტრაქტება, საკითხავია, რაში დასჭირდა ხელისუფლებას იგივე თემაზე ახალი ტენდერის გამოცხადება, – კითხულობენ მონიტორინგის ცენტრში.

მათი განცხადებით, ახალი ტენდერის გამოცხადება განსაკუთრებით გაუგებარია მაშინ, როცა ლარის კურსი ასეთ ცუდ დღეშია.

– ყველა ექსპერტი გვირჩევს, რომ მოვერიდოთ ფულის დამატებით ხარჯვას თუ ამის აუცილებლობა არ არის. ესენი კი მზად არიან, ლამის ნახევარი მილიონი გამოყარონ, – შფოთავენ „მედიატორში“.

ცენტრის ყურადღება ნარმანიას მიერ გამოცხადებულმა 20.000-იანმა ტენდერმა მიიპყრო, რომელიც თაიგულების და გვირგვინების შეძენას გულისხმობს. ტენდერში დეტალურად არის აღწერილი, თუ რა სიგრძის და რა სახეობის ყვავილებით უნდა იყოს „ვენოკი“ შეკრული.

მონიტორინგის ცენტრისთვის უცნობია, რაში უნდა გამოიყენონ ეს ყვავილები. არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებს ამაზე მხოლოდ გონივრული ეჭვი აქვთ.

– ამ საკითხზე მხოლოდ სარკაზმით შეგვიძლია ვილაპარაკოთ. ნარმანიას, მოგეხსენებათ, წინასწარ აქვს შეძენილი 1.700 კუბო ცოცხალი ადამიანებისთვის და, ეტყობა, ახლა გვირგვინებით აპირებს ამ ადამიანების გასვენებებში სიარულს, – გვითხრეს „მედიატორში“.

* * *

არასამთავრობო ორგანიზაცია ახლო მომავალში მორიგი კვლევის გამოქვეყნებას აპირებს. როგორც ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ლევან ხაბეიშვილმა გვითხრა, კვლევა მერიაში გაცემულ პრემიებს შეეხება.

– „ახალი თაობის“ მეშვეობით მინდა დავაანონსო, რომ კვლევა იქნება ძალიან საინტერესო. ვინ რამდენი აიღო მერიაში, ამას მოგვიანებით ვიტყვით. ახლა მხოლოდ იმას გეტყვით, რომ დეკემბერში თბილისის მერიაში, დანამატების გარდა, ორჯერ გაიცა პრემია, – აცხადებს ლევან ხაბეიშვილი.

# „თითო გადახურდავებული დოლარიდან 1 ლარი „ქართული ოცნების“ ჯიბეში მიდის“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ყოვნების დრო აღარ არის, ლარი სადღაც მიექანება.

„ქართული ოცნება“ ოპოზიციაში რომ იყო, ამბობდნენ, 1 ლიტრი ბენზინიდან ნაციონალების ჯიბეში თითო ლარი მიდისო. მაინტერესებს, სად მიდის კურსთაშორის სხვაობიდან 1 ლარი? ამაზე აუცილებლად უნდა მივიღოთ პასუხი.

***– თქვენ მართლა ფიქრობთ რომ ვინმეს ჯიბეში მიდის კურსთაშორის სხვაობიდან ფული, თუ „აბაროტი“ აუღეთ ბენზინის გამო „ოცნებას“?***

– ამათ მოსახლეობა აუღებს „აბაროტს“ არჩევნებზე. ახლა მითხრან, ვის ჯიბეში მიდის ეს ფული? თავისუფლად შემიძლია ვთქვა, რომ თითო გადახურდავებული დოლარიდან, 1 ლარი „ქართული ოცნების“ ჯიბეში მიდის.

შარშანდელ ბიუჯეტში კურსი იყო გათვალისწინებული 1,8-ზე. წელი დავამთავრეთ ისე, რომ 1 დოლარი 2 ლარი და 40 თეთრი ღირდა. ხელისუფლება თუ აპირებს, რომ ლარი კიდევ უფრო ზევით გაუშვას, ვიდრე ახლაა, არც კი ვიცი, როგორი იქნება ქვეყნის ეკონომიკა.

ახლო მომავალში საპარლამენტო უმცირესობაში დავნიშნავთ განხილვას და მოვიწვევთ ეკონომიკურ გუნდს. მოვიდნენ და გაგვცენ პასუხი.

***– დარწმუნებული ხართ, რომ მოვლენ?***

– კალაძის ქმედებებიდან გამომდინარე ამაში ღრმად დარწმუნებული არ ვართ. ენერგეტიკის მინისტრი დაიმალა, სამაგიეროდ, გაიძახის, გაზპრომი კაი ფასს გვთავაზობსო. გაგიგიათ, რა ფასად გვაძლევს გაზპრომი გაზს? არავინ არ იცის. როგორც ჩანს, გაზის ფასი არის ლავროვი.

რამდენიმე დღის წინ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა პრესკონფერენცია გამართა. სადაც ჰკითხეს, როგორი პერსპექტივა აქვს გაზპრომის და თბილისის მოლაპარაკებებს? უპასუხა, ძალიან კარგიო.

***– ლავროვმა წინასწარ რა იცის, როგორი პერსპექტივა ექნება ამ მოლაპარაკებებს?***

– რას ჰქვია, რა იცის? მან კარგად იცის, რომ აქ, თბილისში, ბიჭუნები მის წინააღმდეგ ვერაფერს გაბედავენ. ყველაფერი იქნება ისე, როგორც ეს ლავროვს უნდა. მისმა ამ განცხადებამ ნათელი გახადა, რომ შემთხვევითი არ ყოფილა მოლაპარაკებები ტარიფზე და ტრანზიტზე.

***– ეკონომიკური გუნდი თუ არ მოვიდა პარლამენტში, რას იზამთ?***

– რა?! არ მოვლენ? გავალთ ქუჩაში და ხალხს გავაცნობთ ჩვენს პროგრამას.

***– ეს რას შეცვლის?***

– ხალხი სიმართლეს გაიგებს. რასაც გიორგი კვირიკაშვილი ახლა ლაპარაკობს, ამაზე ჩვენ ერთი წლის წინ ვლაპარაკობდით. თავის დამტკიცებაზე პარლამენტში კვირიკაშვილმა თქვა, რომ მზად არის, ჩვენ მოგვისმინოს.

***– თუ არ მოვიდა?***

– რატომ არ უნდა მოვიდეს? ესეც, ეტყობა, ჩვენი შეცდომაა. ჩვენ იმპერატიულად უნდა ჩაგვეწერა, რომ მთავრობის წევრი ვალდებულია, პარლამენტში გამოცხადდეს. მომავალში მოგვიწევს ამაზე პირდაპირ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაყენება.

რას ჰქვია, მინისტრი არ მოვა პარლამენტში? პარლამენტში თუ არ მოვა, აბა, სად დადის? კალაძე რომ გამოვარდა და თქვა, როცა გამისწორდება, მაშინ მივალ პარლამენტშიო, ამით მთელ პარლამენტს მიაყენა შეურაცხყოფა.

***– კალაძეს არ უთქვამს მაშინ, მივალ, როცა გამისწორდებაო. მან თქვა, როცა საჭიროდ ჩავთვლი, მაშინ მივალო.***

– მერე ეგ ერთი და იგივე არ არის? მაგას ეგონა, ამით ნაციონალებს მოგვაყენა შეურაცხყოფა. სინამდვილეში კი დავით უსუფაშვილის მიმართ გამოიჩინა უპატივცემულობა.

***– უსუფაშვილს თუ მიაყენა შეურაცხყოფა, რატომ არ აყვირდნენ მეოცნებეები?***

– „ქართულ ოცნებაში“ არის ასეთი პრინციპი – ხელი ხელს ბანს, ორივე ერთად კი – პირს. რესპუბლიკელებს როცა სჭირდებათ, ძალიან პრინციპულები არიან, როცა სჭირდებათ, ვერაფერს ამჩნევენ და ვერაფერს ხედავენ.

# რამაზ საყვარელიძე: „ქართული ოცნების“ დემოკრატიულობის მთავარი ტესტი საპარლამენტო არჩევნები იქნება“

ნათია ხურცილავა





**პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში გარდაბნის გამგებლის არჩევნებს აფასებს და საპარლამენტო არჩევნების სავარაუდო შედეგზეც საუბრობს.**

რამაზ საყვარელიძე:

– რა გამოჩნდა გარდაბნის არჩევნებზე? გამოჩნდა ის, რომ მმართველი გუნდის კანდიდატმა 70 პროცენტით მოიგო არჩევნები, მაგრამ საარჩევნო უბნებზე იყვნენ ადამიანები, რომელთა იქ ყოფნაც არ იყო მისასალმებელი. არასამთავრობო სექტორმა დაკვირვების შემდეგ გააკეთა განცხადება, რომ არ მომხდარა ისეთი ჩარევები, რომლებიც შედეგებზე გავლენას იქონიებდა.

***– პრემიერმა ორივე მხარეს მოუწოდა ტემპერატურის დაწევისკენ. კვირიკაშვილი ამბობს, რომ ოქტომბრის არჩევნებში მთელი საერთაშორისო საზოგადოება გამადიდებელი შუშით დაგვაკვირდება. ეს არის მთავრობის მეთაურის გზავნილი?***

– ოპოზიციას, რომელსაც უნდა მიზნის მიღწევა, ხშირად აწყობს კიდეც, რომ დარღვევები იყოს, მეტი ხმაური გამოიწვიოს საარჩევნო უბნის სიახლოვეს. ეს კარგად იცის პრემიერმა და ამიტომ ის ალბათ უფრო თავის მხარდამჭერებს მოუწოდებს, რომ ასეთ პროვოკაციებს არ აყვნენ, რომ ეს არ აწყობს არც მათ და არც ქვეყანას.

***– საპარლამენტო არჩევნებზე საქართველო დიდი დაკვირვების ობიექტი იქნება საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან?***

– ეს საპარლამენტო არჩევნები ერთ-ერთი ის არჩევნები იქნება, რომელზეც მაქსიმალურად იქნება ყურადღება გამახვილებული, რადგან მსოფლიო საზოგადოების წინაშე ბევრი კითხვის ნიშანი გაჩნდა პოლიტიკურ ორიენტაციაზე, დემოკრატიულობაზე და ა.შ. ამას ხელი შეუწყო იმან, რომ საზღვარგარეთ გადის ოპოზიციაც და საბედნიეროდ გადის. ოპოზიცია თავის შეხედულებებს ავრცელებს, ამდენად, უცხოელების წინაშე არის დილემა, საქართველოში არის დემოკრატია თუ არ არის? ამის ყველაზე კარგი ტესტი კი ყოველთვის არჩევნებია.

ამ ხელისუფლების დემოკრატიულობის ტესტი სწორედ ეს არჩევნები იქნება.

***– გარდაბნის არჩევნები შეიძლება იყოს გენერალური რეპეტიცია დიდი არჩევნებისთვის? ამას საგარეჯოს შუალედურ არჩევნებზეც ამბობდნენ.***

– არა მგონია, გამართლებული იყოს ერთი არჩევნებით მეორე არჩევნების რეპეტიციაზე საუბარი. მიუხედავად იმისა, რომ ეს ფრაზა ხშირად მესმის. თუმცა, გავლენის მოხდენაზე საუბარი შეიძლება.

***– მაგალითად?***

– გარდაბნის არჩევნებზე გაჩენილი პრობლემები ალბათ იქნება გათვალისწინებული მომდევნო არჩევნებზე. შეიძლება ამ გამარჯვებამ ხელისუფლება მოადუნოს და მან ჩათვალოს, რომ ყველგან გაიმარჯვებს. ოპოზიციამ კი შეიძლება ძალების სრული მობილიზება მოახდინოს. ამდენად, შედეგები შეიძლება მაპროვოცირებელი აღმოჩნდეს.

***– მეტი სიფრთხილე მართებდა თუ არა ხელისუფლებას, რომ სამედიცინო ნიღბიანი ადამიანები არ გამოჩენილიყვნენ საარჩევნო უბნის სიახლოვეს ან შეიარაღებული უცხო პირი, რომელიც ტელეკამერებმა დააფიქსირეს და რომელიც თავის ვინაობას არ აცხადებდა?***

– რა თქმა უნდა, მაგრამ ამ შემთხვევაში პროვოკაციებიც არ უნდა გამოვრიცხოთ. თუმცა, სწორედ ხელისუფლებამ ყველა ღონე უნდა იხმაროს იმისთვის, რომ ეს პროვოკაციები თავის დროზე აღკვეთოს. ეს კარგად უნდა გააცნობიეროს თავად პრემიერ-მინისტრმა.

***– გარდაბნის გამგებლის არჩევნების მოგება ხელისუფლებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო, რომ ის კვლავ ფორმაშია?***

– რა თქმა უნდა, ეს დატვირთვაც ჰქონდა, რომ ის კვლავ ფორმაშია. ეს მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური ფაქტორია როგორც ხელისუფლების, ისე ამომრჩევლისთვის. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ გამარჯვება სუფთად იყოს მოპოვებული, წინააღმდეგ შემთხვევაში ამ გამარჯვებას ფასი ეკარგება და ამას პოლიტიკის ენაზე არჩევნების ლეგიტიმაცია ჰქვია, რაც უკვე ოპოზიციის ხელში მომართულ იარაღად იქცევა ხოლმე. ეს კი ხელისუფლებისთვის არასასურველ შედეგებს გამოიწვევს.

ამიტომ ვამბობ, რომ ხელისუფლებას მართებს კარგად დაფიქრება და იმ ფაქტების გათვალისწინება, რომლებიც კრიტიკის საფუძველს აჩენს. წინააღმდეგ შემთხვევაში მოგეხსენებათ, არჩევნებისადმი უნდობლობის გამო ამ ქვეყანაში ხელისუფლება ერთხელ უკვე შეიცვალა.

***– ელექტორატის 60%-ს ჯერ გადაწყვეტილება არ აქვს მიღებული. მოვა ამომრჩეველი არჩევნებზე თუ ეს იქნება მცირე ამომრჩევლიანი არჩევნები?***

– ევროპაშიც სულ უფრო და უფრო ნაკლები ამომრჩეველი მიდის არჩევნებზე ამ ბოლო დროს. თუ 40% გამოვიდა, ძალიან უხარიათ. ხალხი არჩევნებზე იმიტომ არ მიდის, რომ პოლიტიკა არ აინტერესებს, როგორი იქნება.

***– მაგრამ ეს რომ მას ეხება?***

– ამის გაცნობიერება ხშირად ვერ ხდება. თუმცა, როდესაც ამომრჩეველი არ მიდის არჩევნებზე, ეს შეიძლება მისი კარგად ცხოვრების ნიშანიც იყოს. 2012 წლის არჩევნებზე განსაკუთრებული საჭიროების ადამიანებიც კი თავიანთი ეტლებით მიდიოდნენ არჩევნებზე იმიტომ კი არა, რომ კარგად ცხოვრობდნენ, პირიქით, იმ ცხოვრების შეცვლა უნდოდათ. როდესაც ბევრი ადამიანი არ მიდის არჩევნებზე, ეს ირიბად იმასაც ნიშნავს, რომ აქტუალობა დაკარგა ხელისუფლების შეცვლის საკითხმა.

***– ნიჰილისტურ განწყობებზეც აკეთებენ აქცენტს.***

– სწორედ ეს არის ნიჰილიზმი, როდესაც არ გაინტერესებს, ვინ იქნება ხელისუფლებაში. მე ვვარაუდობ, რომ 60% სახელისუფლო გუნდის მხარეს წავა, მაგრამ ხელისუფლებამ ეფექტური ნაბიჯები უნდა გადადგას, რომ ეს ასე მოხდეს.

ჯერჯერობით კვირიკაშვილს ყველა მიმართულებით აქვს დადებითი შეფასებები. თუ ანალოგიური გავრცელდება მთელ მთავრობაზე, მაშინ ეს დადებითად შეცვლის არჩევნების შედეგებს ხელისუფლების სასარგებლოდ. თუ აქვე ადმინისტრაციულ რესურსსაც გავითვალისწინებთ, მაშინ „ქართული ოცნება“ მოიპოვებს უმრავლესობას, მაგრამ ეს იქნება ჩვეულებრივი უმრავლესობა. შემდეგ უკვე პარლამენტში შესული პარტიები შექმნიან ახალ პოლიტიკურ კლიმატს და ეს არ იქნება მხოლოდ ორი პარტიის დუელი.

# ირაკლი მენაღარიშვილი: „რუსეთი მზად არაა, საქართველოს უმთავრესი პრობლემის ირგვლივ სერიოზულად იმსჯელოს“





**საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობების აქტუალურ საკითხებზე ინტერპრესნიუსი სტრატეგიულ გამოკვლევათა ცენტრის თანათავმჯდომარეს, საგარეო საქმეთა ყოფილ მინისტრ ირაკლი მენაღარიშვილს ესაუბრა.**

– რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა: „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა გაყინვის სტადიიდან გამოდის. ქართველი ხალხი ექსპრეზიდენტ სააკაშვილის დანაშაულებრივი შეცდომებისთვის მეზობლებთან ურთიერთობებში საფასურს არ უნდა იხდიდეს“.

მან ასევე გამოთქვა მზადყოფნა, შეხვდეს თავის ქართველ კოლეგას. ამ ეტაპზე რამდენად დიდია ლავროვ-ჯანელიძის შეხვედრის ალბათობა, თუ გავითვალისწინებთ, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობები არ არსებობს?

– საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში არსებული პრობლემები ფუნდამენტური ხასიათისაა და, თუკი საუბარი დაიწყება ორი ქვეყნის მაღალი რანგის წარმომადგენლების ფორუმზე, ეს უნდა იქნეს გათვალისწინებული. მხედველობაში მაქვს ის, რომ მსგავს კონტაქტებს და საერთოდ მაღალი რანგის დიალოგს საქართველოსა და რუსეთს შორის აზრი მხოლოდ მაშინ ექნება, როცა რუსეთი მზად იქნება თბილისთან ეს ფუნდამენტური პრობლემა განიხილოს. საუბარია ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობაზე, რომელიც სწორედ რუსეთის აგრესიის შედეგად არის დარღვეული.

ჩვენი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა არ უნდა გამოვრიცხოთ, მაგრამ ამგვარი დიალოგის აზრს ვერ ვხედავ მისი სათანადოდ მომზადების გარეშე. უპირველესად, კონსულტაციები სწორედ იმ ფუნდამენტურ პრობლემაზე უნდა გაიმართოს, რომელზეც უკვე ვისაუბრე.

რაც შეეხება იმას, თუ სად შედგება ეს შეხვედრა. არა მგონია, ეს საკითხი პრინციპული მნიშვნელობის იყოს, თუმცა, გასაგები მიზეზის გამო იგი, ალბათ, ვერც მოსკოვში და ვერც თბილისში ვერ შედგება. მსგავსი შეხვედრა ადრე თუ გვიან, რა თქმა უნდა, გაიმართება და სავსებით მისაღებია მისი ნეიტრალურ ქვეყანაში გამართვის წინადადება.

– სერგეი ლავროვმა განაცხადა: „შესაძლებელია სხვა კონტაქტებიც. როცა ამაზე პრეზიდენტ პუტინ ჰკითხეს, მან ასეთი შესაძლებლობა არ გამორიცხა“. მინისტრ ლავროვის განცხადება როგორ უნდა გავიგოთ – ამგვარი „სხვა კონტაქტების“ შესაძლებლობას თბილისშიც არ გამორიცხავენ? თუ არა, თქვენი აზრით, „სხვა კონტაქტებში“ ვის და ვის შორის „კონტაქტები“ შეიძლება ვივარაუდოთ?

– ჩემთვის ძნელია იმაზე მსჯელობა, თუ რას გულისხმობდა ბატონი ლავროვი, რადგან საქართველო-რუსეთის ურთიერთობების შესახებ მისი მოსაზრებები ჩემთვის ნიშანია იმისა, რომ რუსეთის სახელისუფლებო წრეებში საქართველოს საკითხისადმი მიდგომებში ბევრი არაფერი შეცვლილა.

რაც შეეხება ნებისმიერი უმაღლესი და მაღალი რანგის შეხვედრებს, ის, რაც წინა კითხვის პასუხად მოგახსენეთ, მთლიანად ვრცელდება „სხვა სახის კონტაქტებზეც“.

არ გამოვრიცხავ იმ თემაზე შეხვედრებს, რომელიც თავად ლავროვმა გააჟღერა თავის გამოსვლაში. მხედველობაში მაქვს თანამშრომლობა ანტიტერორისტულ სფეროში. მოგეხსენებათ, საქართველომ თავად გადადგა ამგვარი ნაბიჯი, როდესაც სოჭის ოლიმპიადის დროს რუსეთს შესთავაზა თანამშრომლობა სწორედ უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში ოლიმპიადისა და მისი სტუმრებისა.

საქართველო ამ საკითხს პასუხისმგებლობით ეკიდება. მსგავსი და კიდევ ზოგიერთი საკითხის ირგვლივ რუსულ მხარესთან კონტაქტები და საუბარი, ალბათ, შესაძლებელია. ყველა სხვა თემა უკავშირდება იმ კარდინალურ პრობლემას, რომელიც ჩვენს ურთიერთობებში არსებობს.

– ლავროვმა განაცხადა, რომ „პანკისის ხეობაში ტერორისტული საფრთხე არ გამქრალა და რომ „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლები პანკისის ხეობას წვრთნებისთვის იყენებენ.“ არადა, საქართველოს ყველა დასავლელმა პარტნიორმა ქვეყანამ იცის, რომ პანკისის ხეობა ამ კუთხით საფრთხეს არ წარმოადგენს. ხომ არ რჩება შთაბეჭდილება, რომ ამ უსაფუძვლო ბრალდებით, მოსკოვს თბილისთან არა რუსეთსა და აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის პრობლემებზე, არამედ პანკისის ხეობაში არსებული, ვითომდა ისლამისტთა საწვრთნელი ბაზების საკითხზე საუბარი და დასავლეთისთვის იმის ილუზიის შექმნა სურს, რომ მან საქართველოსთან ურთიერთობების დალაგება დაიწყო?

– ის, რომ პანკისის ხეობის თემა არასერიოზულია, ჩვენმა დასავლელმა პარტნიორებმა კი არა, რუსეთის შესაბამისმა სამსახურებმაც კარგად იციან. ამიტომ ბატონი ლავროვის ეს გამოხდომა მხოლოდ საქართველოზე ზეწოლის არც მთლად გონივრულ ჟესტად უნდა აღვიქვათ. თუმცა, როდესაც საქმე რუსეთს და იქედან წამოსულ ბრალდებებს ეხება, მსგავსი მომენტების იგნორირება სწორი არ იქნებოდა. სულაც არ ვფიქრობ, რომ ახლა საქართველოს უშუალოდ ემუქრება საფრთხე, მაგრამ ამგვარი განცხადების გაკეთებამ ქართული მხარე კიდევ ერთხელ უნდა ჩააფიქროს იმაზე, რა შეიძლება ჰქონდეს რუსეთს მხედველობაში.

რაც შეეხება იმას, თუ რა გზავნილია ეს დასავლეთისთვის – გეთანხმებით, დღეს რუსეთი ცდილობს იმ კონფრონტაციისა და იზოლაციის ფონზე, რომელშიც იგი აღმოჩნდა, რაც შეიძლება კონსტრუქციულად წარმოაჩინოს თავი ანუ – „ჩვენ შევთავაზეთ საქართველოს, მათ კი უარი თქვეს“. ამგვარი მოჩვენებითი ნაბიჯები რუსული დიპლომატიისთვის დამახასიათებელია.

– საქართველოზე მინისტრ ლავროვის განცხადებებს წინ უძღოდა „ნეზავისიმაია გაზეტაში“ თედო ჯაფარიძის წერილი სათაურით – „რა არის „წითელი ხაზების“ მიღმა“. ბატონი თედოს სტატია მრავლისმეტყველად სრულდება – „ჩვენ თბილისში არქივს ჩავაბარეთ უპასუხისმგებლო პოლიტიკა, პრინციპულობას, გონიერებასა და პრაგმატიზმს გამოვავლენთ და უფლება გვაქვს ჩვენთან მიმართებითაც ასეთივე მოლოდინი გვქონდეს“.

რამდენად გაქვთ იმის მოლოდინი, რომ მოსკოვის პოლიტიკა საქართველოს მიმართ ასევე იქნება გონივრული და პრაგმატული?

– ამ შემთხვევაში მინდა დავეთანხმო ბატონ თედოს სიტყვებს, ოღონდ სწორედ იმგვარ კონტექსტში და იმგვარი გაგებით, როგორც ის საუბრობს. დიახაც, საქართველოს აქვს უფლება, ელოდოს რუსეთიდან ამგვარ მიდგომას, რადგან ობიექტურად მხოლოდ ამგვარი მიდგომა პასუხობს თვით რუსეთის ინტერესებსაც. თუმცა, რუსეთის დღევანდელი ხელისუფლების საქმიანობის პირობებში მე ამგვარი მოლოდინი ნაკლებად მაქვს.

– ექსპერტები კრემლისთვის მტკივნეულ ეკონომიკურ პრობლემებს პროგნოზირებენ, თუმცა პრეზიდენტ პუტინის რეიტინგი საერთაშორისო ასპარეზზე კვლავ მაღალია. ასეთ ვითარებაში ძნელი წარმოსადგენია, რომ კრემლმა თბილისის სასარგებლოდ აფხაზეთთან და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან მიმართებით კონკრეტული ნაბიჯები გადადგას. თუ ამგვარი მოლოდინი შეიძლება დღეს გვქონდეს, რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი? თუ კრემლი თბილისთან ურთიერთობის აღდგენას ისე აპირებს, როგორც რუსეთის უშიშ-

**გაგრძელება მე-6 გვერდზე**

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ქართველ ჯარისკაცებს არასრულწლოვნებზე სექსუალურ ძალადობაში ადანაშაულებენ



გაეროს ადამიანის უფლებების საკითხებში უმაღლესი კომისარიატის ინფორმაციით, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ქართველმა სამხედროებმა მცირეწლოვან გოგონებზე სექსუალური ძალადობა განახორციელეს.

კომისარიატის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებულ ინფორმაციას თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის უფროსი ვახტანგ კაპანაძე სპეციალური ბრიფინგით გამოეხმაურა და ქართული მხარის მზადყოფნა გამოთქვა, გამოძების მიმდინარეობისას ითანამშრომლონ შესაბამის უწყებებთან და მონაწილეობა მიიღონ სიმართლის დადგენაში.

**ვახტანგ კაპანაძე:**

– ჩვენ დიდი ყურადღებით და შეშფოთებით გავეცანით გაეროს ადამიანთა უფლებების უმაღლესი კომისარის განცხადებას, რომელიც ეხებოდა ცენტრალურ აფრიკაში, 2014 წლის სამშვიდობო მისიას.

როგორც შეიარაღებული ძალების, ასევე მთავრობის და თავდაცვის სამინსიტროს პოზიციაა, რომ არ აქვს მნიშვნელობა იმ პირის წარმავლობას ან სამხედრო წოდებას, ვინც აკეთებს ასეთ ულირს საქციელს.

ჩვენი მიზანია განვახორციელოთ დეტალური გამოძიება. ამ ამოცანით ჩვენ ვითანამშრომლებთ ყველა შესაბამის ორგანოებთან. ამ ეტაპზე, ჩვენ ყველა ზომას ვიწყებთ რათა დადგინდეს სიმართლე ან გაბათილდეს აღნიშნული ინფორმაცია, ან დადგინდეს და დაისაჯოს ის პიროვნება, რომელმაც შელახა ქართული მუნდირი. ჩვენი გადაწყვეტილებით, ყველა, ვინც ვალდებული იყო არ დაეშვა მსგავსი ქმედება, ან არ გამოიძია მსგავსი ქმედება, გადაყენებული იქნება მოვალეობის შესრულებისაგან გამოძიების დასრულებამდე.

გაეროს ადამიანის უფლებების საკითხებში უმაღლესი კომისარიატის ინფორმაციით, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ევროკავშირის სამშვიდობო მისიაში მონაწილე ფრანგმა და ქართველმა ჯარისკაცებმა არასრულწლოვნებზე 2014 წელს იძალადეს, თუმცა ამ ფაქტის შესახებ ცნობილი ახლა გახდა.

**მედიანიუსი**

# ირაკლი მენაღარიშვილი: „რუსეთი მზად არაა, საქართველოს უმთავრესი პრობლემის ირგვლივ სერიოზულად იმსჯელოს“

დასაწყისი მე-5 გვერდზე

როების საბჭოს მდივანმა უკრაინაზე განაცხადა – „რუსეთსა და უკრაინას შორის ურთიერთობები აღდგება, თუმცა, ყირიმი მეზობელი ქვეყნის შემადგენლობაში არ დაბრუნდება“.

– მოდით, ჯერ დავაზუსტოთ, ბატონი პუტინის რეიტინგი მაღალია მხოლოდ რუსეთის რამდენიმე „მეგობარ“ ქვეყანაში და მსოფლიოს პოლიტიკური სპექტრის ასევე მცირე და მარგინალურ ჯგუფებში. როგორც რუსეთის პროპაგანდა გვატყობინებს, მას დაახლოებით სტალინის ეპოქის დროინდელი რეიტინგი აქვს რუსულ საზოგადოებაში. დანარჩენ ცივილიზებულ სამყაროში რას უწოდებენ პუტინს, შეგიძლიათ „ბი-ბი-სის“ გვერდებზე ნახოთ, თუმცა ეს არ არის ახლა მთავარი.

რაც შეეხება იმას, თუ როგორ უყურებს რუსეთი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მომავალს. მინდა გაგახსენოთ, რომ ბატონმა პუტინმა რამდენჯერმე გაიმეორა ასეთი ფორმულა – ქართველებმა ილაპარაკეთ აფხაზებთან და ოსებთან, ჩვენ ამაში ხელს არ გიშლით.

რამდენად გულწრფელია ეს განცხადება იმ ფონზე, როდესაც რუსეთი აფხაზეთთან და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან ურთიერთობაში დგამს იმ ნაბიჯებს, რომელთაც დგამს, ვფიქრობ, ამაზე მსჯელობა სრულიად ზედმეტია. ეს პოლიტიკური ფარისევლობის ნიმუში გახლავთ. ჯერჯერობით, რუსეთს ერთი ნიშანიც არ გამოუვლენია იმისა, რომ იგი მზად არის საქართველოს უმთავრესი პრობლემის ირგვლივ სერიოზულად იმსჯელოს.

– თბილისს მოსკოვთან გარკვეული სახის კომუნიკაცია უნდა ჰქონდეს, მაგრამ შექმნილ ვითარებაში როგორი და რა ტიპის, სწორედ ესაა მთავარი. ამ ურთულეს საკითხზე თქვენი პასუხი როგორი იქნებოდა?

– რუსეთი საკუთარი ეკონომიკის და პოლიტიკური სისტემის ტრანსფორმაციის გარეშე პრობლემებს თავს ვერ დააღწევს. მე კი მგონია, რომ დღევანდელი ლიდერების ხელში რუსეთი ასეთი ტრანსფორმაციისათვის მზად, უბრალოდ, არ არის.

ახლა რაც შეეხება ჩვენს ურთიერთობებს. ის, თუ რა არის საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობის ძირითადი პრობლემა, ჩვენ საუბრისას უკვე აღვნიშნეთ. ამ პირობებში ჩვენ შორის კომუნიკაცია აუცილებელია პრაქტიკული საკითხების მოსაგვარებლად. ამისათვის ის ფორმატები, რომლებიც რუსეთსა და საქართველოს შორის არსებობს სრულიად საკმარისია. მათი გაფართოება და ფუნქციის გაზრდა ან ახალი ფორმატების შექმნა, რა თქმა უნდა, შესაძლებელია და ეს პრობლემას არ შექმნის. მაგრამ, კარგად უნდა გვესმოდეს, რომ მთავარი ფორმატი კი არა, ისაა, გვინდა თუ არა გადაწყვეტილებების ძიება და რისთვის ვართ მზად.

აქ უკვე ჩნდება ის, რაც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ – საკითხი რუსეთის მზაობისა, სერიოზულად იმსჯელოს საქართველოსა და რუსეთს შორის არსებულ კარდინალურ პრობლემებზე.

ჯერჯერობით, როგორც ჩანს, ამაზე პასუხი უარყოფითია.

**კობა ბენდელიანი, ინტერპრესნიუსი**

# საქართველოში შესაძლოა ავტოსატრანსპორტო საშუალებების წარმოება დაიწყოს



ევროკომისიასთან არსებული ტექნიკური დახმარებისა და ინფორმაციის გაცვლის პროგრამის ფარგლებში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოში სემინარი გაიმართა, რომელსაც ვარშავის ტრანსპორტის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ერჟი კოვნაცკი და ლიტვის ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს ტექნიკური დათვალიერებების დეპარტამენტის დირექტორი იუსტას რაშომავიჩუსი უძღვებოდნენ.

სემინარს ესწრებოდნენ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტრანსპორტის დეპარტამენტის, შემოსავლების სამსახურის, მომსახურების სააგენტოს და აკრედიტაციის ცენტრის თანამშრომლები.

როგორც სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოში აცხადებენ, სემინარზე განხილული იყო საკითხები, რომელიც საშუალებას მისცემს მწარმოებლებს, სამომავლოდ საქართველოში აწარმოონ ავტოსატრანსპორტო საშუალებები როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ბაზრისათვის.

სემინარზე მხარეებმა ასევე განიხილეს ევროკავშირის გამოცდილება სატრანსპორტო საშუალებების მოწყობილობებისა და ნაწილების ტიპის აღიარებასთან დაკავშირებით. ეს გულისხმობს აღნიშნულ სფეროში კომპეტენტური სახელმწიფო ორგანიზაციების განსაზღვრას და საკანონმდებლო ბაზის შემუშავებას, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობაში ამ შეთანხმების დანართების (ე.წ. „გაეროს 140 წესი“) ეტაპობრივ ასახვას, აღნიშნული წესების მოთხოვნების უზრუნველმყოფი რგოლების განსაზღვრას, შესაბამისი განაცხადის საფუძველზე, ქვეყანაში არსებული საწარმოების (ქარხნების) კოდიფიცირებას და ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის საერთაშორისო წარმოების კოდის მინიჭებას.

**ნიუსპრესი**

# თამაზ მეჭიაური: „ლარის კურსი იყოს მყარი“



პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის, თამაზ მეჭიაურის განცხადებით, მან ეროვნული ბანკისა და მთავრობის წარმომადგენლებისგან დადასტურება მიიღო, რომ ისინი ლარის დასტაბილურებისთვის კოორდინირებულად მუშაობენ.

თამაზ მეჭიაურმა ეს ჟურნალისტებთან საუბარში, პარლამენტში ლარის კურსთან დაკავშირებით გამართული შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა.

– ისინი გამოცდის ჩასაბარებლად არ მყოლიან, მე მოვისმინე ინფორმაცია ყველა უწყებიდან, რამდენად მზადყოფნაში არიან ისინი, ერთმანეთთან ითანამშრომლონ და ყოველდღიურად მიიღონ ადეკვატური გადაწყვეტილებები ურთიერთშეთანხმებით, რომელიც დადებითად აისახება ლარის კურსზე, – აცხადებს მეჭიაური.

მისივე თქმით, კომიტეტის მიზანი ლარის კურსის დასტაბილურებისთვის გაწეული სამუშაოების სრული ინფორმირებაა.

– აქ არ ყოფილა მიზანი ურთიერთგადაბრალებებისა, ჩვენი მიზანია, რომ მოსახლეობამ გაიგოს, რომ ყველა უწყება, მათ შორის ეროვნული ბანკი, მიმართულია იმისკენ, რომ ლარის კურსი იყოს მყარი, – განაცხადა თამაზ მეჭიაურმა.

პარლამენტში გამართულ შეხვედრას ეროვნული ბანკისა და მთავრობის წარმომადგენლების გარდა ოპოზიციის წევრებიც ესწრებოდნენ.

ოპოზიციაში აცხადებენ, რომ მათთვის კიდევ გაუგებრად რჩება, რა არის ის კონკრეტული ნაბიჯები, რომლებსაც ლარის დასტაბილურების კუთხით ეროვნული ბანკი და მთავრობა კოორდინირებულად დგამენ.

**ნიუსპრესი**

# დიმიტრი ქუმსიშვილი: „ლარის კურსის გაუარესებას აღარ ველოდებით“




საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის, დიმიტრი ქუმსიშვილის განცხადებით, ბაზარზე დადებითი ტენდენციაა და ეროვნული ვალუტის მეტი გაუფასურება მოსალოდნელი აღარ არის.

დიმიტრი ქუმსიშვილმა ეს ჟურნალისტებთან საუბრისას, მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა.

– მე შემიძლია დაგიდასტუროთ, რომ პირადად ყოველდღიურ კონტაქტზე ვარ როგორც ეროვნულ ბანკთან, ისე ფინანსთა სამინისტროსთან. მაკროეკონომიკაში რაც იყო პარამეტრები, იმის შესწორება მოხდა და ჩვენ მეტ გაუარესებას აღარ ველოდებით, – განაცხადა ეკონომიკის მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

**ნიუსპრესი**

## სპორტი

### ავსტრალია: ფინალში ჯოკოვიჩი და მარეი შეხვდებიან

კალენდარული წლის პირველი დიდი სლემის ტურნირი ავსტრალიის ღია პირველობა დასასრულს უახლოვდება.

მამაკაცებში ფინალური შეხვედრა შარშანდელი ფინალის იდენტურია, ანუ ერთმანეთს ისევ მარეი და ჯოკოვიჩი დაუპირისპირდებიან.

შოტლანდიელმა ენდი მარეიმ ნახევარფინალში კანადელი მილოშ რაონიჩი დაამარცხა და ამისთვის მას 5 სეტი დასჭირდა. აღსანიშნავია, რომ მეხუთე სეტში რაონიჩს ტრავმა აწუხებდა, რამაც მარეის საქმე გააუადვილა.

რაც შეეხება ნოვაკ ჯოკოვიჩს, მან ნახევარფინალური შეხვედრა ძალიან დამაჯერებლად ჩაატარა და როჯერ ფედერერს არავითარი შანსი არ დაუტოვა. ნოვაკმა შვეიცარიელი ლეგენდა ოთხ სეტში დაამარცხა, პირველი ორი პარტია კი გამანადგურებელი ანგარიშით მოიგო – 6:1, 6:2.

ფინალი კვირას, 31 იანვარს გაიმართება და ჯოკოვიჩი ამ შეხვედრის აშკარა ფავორიტად ითვლება.

### ესპანეთის თასის ნახევარფინალური წყვილები ცნობილია

29 იანვარს ესპანეთის თასის ნახევარფინალური შეხვედრების კენჭისყრა გაიმართა.

ბარსელონა ვალენსიას დაუპირისპირდება, სევილია კი – სელტას.

პირველი შეხვედრები ბარსელონასა და სევილიაში 3, 4 თებერვალს ჩატარდება, ხოლო განმეორებითები – 10,11 თებერვალს.

ბარსელონა-ვალენსიას წყვილი უდავოდ საინტერესოა, თუმცა ბოლო პერიოდში ვალენსია ძალიან არასტაბილურ თამაშს აჩვენებს. მას ვერც ახალი მწვრთნელის გარი ნევილის დანიშვნამ უშველა. ბარსელონა კი თავის მხრივ შესანიშნავ ფორმაშია და ესპანეთის თასის მოგების მთავარი პრეტენდენტია.

რაც შეეხება სევილია-სელტას, აქ აშკარა ფავორიტი არ არის.

### ლივერპული ჩიჩარიტოს გადაბირებას შეეცდება

ლივერპული ლევერკუზენის ბაიერის მექსიკელი ფორვარდით ჩიჩარიტოთი დაინტერესდა.

მერსისაიდული გუნდი ხავიერ ერნანდესის გადმობირებას ადრეც ცდილობდა, როდესაც ფეხბურთელი ჯერ კიდევ მანჩესტერში იყო, მაგრამ მაშინ ლივერპულს არაფერი გამოუვიდა.

ამჟამად ჩიჩარიტო ბაიერში გამოდის და მის ანგარიშზე წლევანდელ სეზონში უკვე 11 გოლია.

ლივერპულის მწვრთნელი იურგენ კლოპი სერიოზულად გეგმავს თავისი გუნდის გაძლიერებას, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ ჩიჩარიტოს ტრანსფერის განხორციელება ამჯერადაც პრობლემატური იქნება მერსისაიდული გუნდისთვის.

### ნემანია ვიდიჩმა კარიერა დაასრულა

მანჩესტერ იუნაიტედის ყოფილმა მცველმა ნემანია ვიდიჩმა 34 წლის ასაკში კარიერა დაასრულა.

სერბი ფეხბურთელის ბოლო გუნდი მილანის ინტერი იყო, რომელთანაც ვიდიჩმა კონტრაქტი გაწყვიტა, რის შემდეგაც კარიერის დასრულებაზეც მიიღო გადაწყვეტილება.

ვიდიჩის სახელი ძირითადად მანჩესტერ იუნაიტედს უკავშირდება, სადაც ნემანიამ 8 წელი გაატარა. ამ ხნის განმავლობაში ვიდიჩმა მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მცველის წოდებაც დაიმსახურა, მაგრამ ბოლო წლები მისთვის წარუმატებელი გამოდგა და 2014 წელს ის ინტერში გადავიდა სათამაშოდ, სადაც ასევე ვერ შეძლო თავის დამკვიდრება.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

# „ბითლზი“ — ლეგენდარული ოთხეული არნახული წარმატებით

ეკა ირემაშვილი

2 თებერვლიდან გაზეთ „ახალ თაობას-თან“ ერთად გაყიდვაში გამოვა უნიკალური წიგნი, რომელიც ლეგენდარული ჯგუფის, „ბით-ლზის“, შემოქმედებასა და ცხოვრებას წარმოგ-ვიდგენს.

„ბითლზი დღიდან დღემდე“ — ასეთია წიგნის სახელწოდება და მასში წარმოდგენი-ლია ფართო საზოგადოებისათვის აქამდე უც-ნობი ისტორიები, ფოტოები და ჩანართები.

ჯონ ლენონი, პოლ მაკარტნი, რინგო სტა-რი და ჯორჯ ჰარისონი ის ადამიანები არიან, რომლებმაც მსოფლიოს მუსიკალურ სამყაროში ნამდვილი გადატრიალება მოახდინეს. 1960 წელს ჩამოყალიბებულმა პოპ და როკ-ენ-როლ ჯგუფ-მა ინგლისის ქალაქ ლივერპულში თაყვანისმცე-მელთა ნამდვილი არმია გაიჩინა და ეს დღემდე გრძელდება.

ლივერპულში, ქუორი ბენკის სკოლაში ჯონ ლენონმა ჩამოაყალიბა სკიფლის შემსრუ-ლებელი ჯგუფი. 15 წლის პოლ მაკარტნი მათ რიტმული გიტარისტის სახით შეუერთდა, რო-დესაც იმ წლის ივლისში ლენონი გაიცნო. მა-კარტნიმ ჯგუფის შესრულების სანახავად მიიწ-ვია მეგობარი ჯორჯ ჰარისონი. 14 წლის ბიჭუნამ დაუკრა ლენო-ნის წინაშე და მასზე შთაბეჭდი-ლება მოახდინა, მაგრამ ლენონმა თავდაპირველად ჩათვალა, რომ ჰარისონი ჯგუფისთვის ზედმე-ტად ახალგაზრდა იყო. ჰარისონი ერთი თვის განმავლობაში თავი-სი საქმით ჯიუტად ამტკიცებდა, რომ ამ ჯგუფში დაკვრის ღირსი იყო, რამაც შედეგი გამოიღო და საბოლოოდ ის წამყვან გიტარისტად აიყვანეს.

**მერაბ სანოძე: „მთელი ჩემი ახალგაზრდობა რინგო სტარს ვბაძავდი“**

ყველაზე ბოლოს ჯგუფს რინგო სტარი შეუერთდა და მათი ვარსკვლავური აღმასვლაც დაიწყო.

„ბითლზი“ მუსიკის ისტორიაში დღემდე ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ ჯგუფად ით-ვლება. ჯგუფი სოციალური და კულტურული რევოლუციების საფუძვლად იქცა.

მისი კარიერა ლივერპულისა და ჰამბურ-გის ღამის კლუბებში დაიწყო, რასაც საერთა-შორისო აღიარება მოჰყვა. მილიონობით გაყი-დული ალბომი, ათასობით საკონცერტო ტურნე და არნახული წარმატება ჯგუფის წევრებმა გონივრულად გამოიყენეს, თუმცა მოგვიანებით ყველანაირი ცოცხალი გამოსვლა შეწყვიტეს. საბოლოოდ ჯგუფის წევრებმა გადაწყვეტილე-ბა მიიღეს, საკუთარი შესაძლებლობები სოლო-კარიერაში მოესინჯათ და 1970 წელს „ბით-ლზი“ ოფიციალურად დაიშალა.

ამის შემდეგ მისი წევრების ცხოვრება სხვადასხვაგვარად წავიდა.

ჯონ ლენონი მისმა ფანმა მოკლა. მას სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს და დღემდე სასჯელს იხდის. ჯორჯ ჰარისონი სიმსივნის დიაგნოზით 15 წლის წინ გარდაიცვალა.

ლეგენდარული ჯგუფიდან მხოლოდ პოლ მაკარტნი და რინგო სტარი არიან ცოცხლები. ისინი კვლავ აქტიური მუსიკოსები არიან და ზრუნავენ როგორც საკუთარ მუსიკალურ კარი-ერაზე, ასევე „ბითლზთან“ დაკავშირებულ პრო-ექტებზე.

ლეგენდარული ოთხეული კვლავ რჩება ყველა დროის ყველაზე გაყიდვად ჯგუფად, ხოლო მათი ჩანაწერები ჯგუფის დაშლიდან 40 წლის შემდეგ კვლავ მოთხოვნადია.

ბრიტანულ ჩარტში სხვადასხვა დროს ერთდროულად მოხვედრილა მათი რამდენიმე ალბომი, რომლებიც ამა თუ იმ პოზიციას უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში იკავებ-დნენ, ვიდრე სხვა მუსიკოსების ნამუშევრები.

ჯგუფს ამერიკაში გაყიდული აქვს უფრო მეტი ალბომი, ვიდრე რომელიმე სხვა მუსიკოსს. ჟურნალმა „ბილბორდმა“ ამერიკაში სინგლების ჩარტების აღრიცხვიდან 50-ე წელიწადის აღსა-ნიშნავად გამოაქვეყნა ყველა დროის ყველაზე გაყიდვადი მუსიკოსების სია, რომელშიც „ბით-ლზი“ პირველ პოზიციას იკავებდა.

კომერციულმა წარმატებამ თან მოიტანა მედიის მხრიდან მეტი ყურადღება, რაზეც „ბით-ლზმა“ უპატივცემულობითა და იუმორით უპა-სუხა, რაც იმ დროს პოპულარული მუსიკოსე-ბისგან მოულოდნელი ნაბიჯი იყო. ამან მათ მიმართ ინტერესი გაზარდა. პოპულარობის ზრდას კი მოჰყვა ფენომენი, რომელსაც ბითლო-მანია ეწოდა. ბითლომანიის გაძლიერებასთან ერთად, პოლიცია პლიმუთში კონცერტის წინ იძულებული გახდა, დიდი ბრბო წყლის მძლავ-რი ნაკადებით დაეშალა.

ლივერპულელი ოთხეული დამაჯერებლად იპყრობდა მსოფლიოს. ამერიკაში ჯგუფის პირ-ველ სატელევიზიო გამოსვლა შედგა ედ სალი-ვანის შოუში. 23 მილიონზე მეტ ოჯახში მას დაახლოებით 73 მილიონი მაყურებელი ადევ-ნებდა თვალს, რაც ამერიკის მოსახლეობის 34 პროცენტს შეადგენდა.



ბიოგრაფი ჯონათან გულდი წერს, რომ ნილსენის რეიტინგების სამსახურის თანახმად, ეს იყო ყველაზე დიდი რაოდენობის მაყურებე-ლი, რაც კი ოდესმე დაფიქსირებულა ამერიკის ტელევიზიის ეთერის დროს.

„ბითლზის“ გამოსვლას მე-ორე დილით მოჰყვა უარყოფითი შეფასება კრიტიკოსების მხრი-დან, მაგრამ ერთი დღის შემდეგ ვაშინგტონის კოლიზეუმის დარ-ბაზში გაიმართა მათი პირველი კონცერტი ამერიკაში. ნიუ იორ-კში მეორე დღეს ჯგუფმა კარნე-გი-ჰოლში ორი კონცერტი გა-მართა, რასაც ასევე მოჰყვა მყარი გამოხმაურებები. შემდეგ ჯგუფი გაფრინდა ფლორიდაში და ედ სალივანის შოუში მეორედ გამოვიდა. ამჯერად შოუს 70 მილიონი მაყურე-ბელი ადევნებდა თვალს.

ყველანაირი რეკორდი მოხსნა ჯგუფმა თავისი კონცერტებით მსოფლიო მასშტაბით. 27 დღის განმავლობაში გაიმართა 37 კონცერ-ტი დანიაში, ნიდერლანდში, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში. ამერიკის 23 ქალაქში კი 30 კონცერტი გამართეს. სან-ფრანცისკოდან ნიუ იორკამდე დაახლოებით 30-წუთიან კონცერ-ტებს 10.000-დან 20.000 მოყვარულამდე დაეს-წრო.



ჯგუფმა მიიღო გრემის 7 და აივორ ნოვე-ლოს 15 ჯილდო. ჟურნალმა „თაიმმა“ ისინი XX საუკუნის 100 ყველაზე გავლენია-ნი პიროვნების სიაში შეიყვანა.

რამდენიმე თვის წინ ლი-ვერპულში „ბითლზის“ ძეგლი გა-იხსნა.

***

გთავაზობთ უცნობ და სა-ინტერესო მოვლენებს ლეგენდა-რული ჯგუფის წევრებზე.

1. პირველი გიტარა ჯონ ლენონს დეიდამ უყიდა. როგორც ჯონი ამბობდა, დეიდა მას აფ-რთხილებდა, გიტარა, როგორც ჰო-ბი, კარგია, მაგრამ ფულს არ მოგიტანსო. წლე-ბის შემდეგ ჯონმა მას ვერცხლის თეფში აჩუქა, რომელზეც სწორედ ეს სიტყვები იყო ამოტვიფ-რული.

2. მას შემდეგ, რაც ჯონ ლენონმა გამოაც-ხადა, რომ „ბითლზი“ უფრო პოპულარული იყო, ვიდრე იესო, ჯგუფის რეიტინგი საგრძნობლად დაეცა.

3. „ბითლზის“ დრამერ რინგო სტარს თავიდან დალაქობა უნდოდა.

4. ები როუდზე გადაღებულ „ბითლზის“ ცნობილ სურათში, სადაც მომღერლები ქუჩას კვეთენ, პოლ მაკარტნის ფეხსაცმელი არ აცვია. ის გადაღებაზე სანდლებით იმყოფებოდა და გადაწყვიტა, რომ ქუჩის გადაკვეთისას მათი ჩაცმა საჭირო არ იყო.

5. გამოძიების ფედერალური ბიურო უთ-ვალთვალებდა „ბითლზს“ „ამერიკის უსაფრთხო-ების უზრუნველყოფის მიზნით“. ყველაზე დიდ ინტერესს მათთვის ლენონი წარმოადგენდა, რო-გორც „რადიკალურად განწყობილი ნარკომანი, რომელსაც შეუძლია მილიონობით ბითლომა-ნით მანიპულაცია“.

6. „მეხუთე ბითლად“ ხშირად მოიხსენიე-ბენ სერ ჯორჯ მარტინს იმ გიგანტური შრომის გამო, რომელიც მან ჯგუფის განვითარებაში ჩადო.

7. რინგოს ხშირად ეკითხებოდნენ ინტერ-ვიუების დროს:

— რატომ ხარ ასეთი სევდიანი?

— არ ვარ სევდიანი. უბრალოდ, ასეთი სახე მაქვს.

8. „ბითლზის“ ერთ-ერთი ცნობილი სიმ-ღერა „სტრავბერი ფაილდს“, რაც ქართულად მარწყვის მდელოს ნიშნავს, სინამდვილეში იყო ბავშვთა სახლი ლივერპულში, რომელსაც ჯონ ლენონი მთელი ცხოვრება ეხმარებოდა. მის პატივსაცემად ერთ-ერთ ჰოლს ჯონ ლენონის ჰოლი დაარქვეს.

9. ჯორჯ ჰარისონმა ცნობილი სიმღერა „ჰიარ ქამს დი სან“ თავისი საუკეთესო მეგობ-რის, ცნობილი მომღერლის, ერიკ კლეპტონის ბაღში დაწერა. მოგვიანებით კლეპტონს ჰარისონის მეუღლე შეუყვარდა და რამდენიმე ხნის განმავლობაში მათ რომანიც ჰქონდათ.

**გიორგი სუხიტაშვილი: „ბითლზი თითქოს სხვა პლანეტიდან ჩამოვიდა“**

10. სიმღერა „იესთედეი“ (გუშინ) ყველაზე ხშირად შეს-რულებადია მსოფლიოში.

11. „ბითლზის“, როგორც ჯგუფის ბოლო სიმღერა იყო ,,ზი ენდ“ (დასასრული).

12. „ბითლზის“ სიმღერებ-ში სიტყვა „სიყვარული“ 613-ჯერ არის გამოყენებული.

13. ბევრს ეგონა, რომ „ბითლზის“ სიმღე-რა „ლუსი ბრილიანტებიან ცაში“ ნარკოტიკის ზეგავლენის ქვეშ იყო დაწერილი და ტექსტშიც სწორედ ამის გავლენა იგრძნობოდა, თუმცა რეალურად ჯონ ლენონის შთაგონების წყარო 4 წლის ჯულიან ლენონის ნახატი გახდა. მოგვია-ნებით ეს ნახატი „ფინქ ფლოიდის“ წევრმა დე-ვიდ გილმორმა შეიძინა.

14. პოლ მაკარტნიმ ცნობილი სიმღერა „ჰეი ჯუდ“ ჯონ ლენონის შვილის, ჯულიანის-თვის დაწერა.

15. 1964 წელს „ბითლზმა“ გამართა 32 კონცერტი 19 დღეში დანიაში, ჰონგ-კონგში, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში.

16. 1965 წელს „ბითლზმა“ დაამყარა ახა-ლი რეკორდი სტადიონზე კონცერტზე დასწრე-ბის მხრივ — კონცერტს 55.600 ადამიანი დაეს-წრო, რაც იმ დროისათვის მართლაც არნახული რაოდენობა იყო.

17. „ბითლზი“ პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი ჯგუფია, რომელიც ამერიკის ხუ-თივე პოპჩარტის სათავეში მოექცა.

18. იუნესკოს დადგენილებით, 16 იანვარი „ბითლზის“ საერთაშორისო დღეა.

***

ჯგუფი აღტაცებული იყო თავისი ფანე-ბის ასეთი რაოდენობით, მაგრამ მალე კონცერ-ტებზე გადარეული ადამიანების კივილმა მუსი-კის ჩახშობა დაიწყო. ლენონი ხშირად ამბობდა, რომ ასეთ კონცერტებზე საკუთარი ხმა არ ესმოდა.

სულ მალე ლივერპულის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს შეეძლებათ მიიღონ „ბითლზის სპეციალისტის“ დიპლომი. უნივერ-სიტეტი აპირებს შექმნას ფაკულტეტი, სახელად „ბითლზის შემოქმედების შემსწავლელი კურსე-ბი“, რაც მსოფლიო მუსიკის ისტორიაში უპრე-ცედენტო ფაქტია.

ჯგუფის კვლევისთვის მთელი ფაკულტე-ტი შეიქმნა ინგლისის ერთ-ერთ წამყვან უნი-ვერსიტეტში. მიზეზად ის დასახელდა, რომ ჯგუფს დაახლოებით 8 ათასი სხვადასხვა წიგნი მიეძღვნა, მაგრამ არავინ დაინტერესებულა მა-თი შემოქმედების მეცნიერული კვლევით. ეს ფაკულტეტი კი საშუალებას იძლევა, უკვე მეც-ნიერული კვლევის საფუძველზე, პროფესიუ-ლად იქნეს შესწავლილი ჯგუფის მოღვაწეობა და გაანალიზებული მათი კვალი მუსიკისა და ზოგადად კაცობრიობის ისტორიაში.

„ბითლზზე“ უამრავი დოკუმენტური და მხატვრული ფილმია გადაღებული. მათ შორის ყველაზე ახალია „ექროს ზი უნივერს“, რომელ-შიც საუნდთრეკებად „ბითლზის“ სიმღერებია გამოყენებული.

„ბითლზმა“ გამოუშვა 6 ბრილიანტის, 24 მულტიპლატინიუმის, 29 პლატინიუმისა და 45 ოქროს ალბომი აშშ-ში.

***

რა გავლენა მოახდინა ლეგენდარულმა ჯგუფმა ქართველ მუსიკოსებსა და მომღერ-ლებზე? ამის გასარკვევად „ახალი თაობა“ რამ-დენიმე ხელოვანს დაუკავშირდა:

**გოჩა ჭაბუკაიძე:**

— ჩემთვის „ბითლზი“ არის მელოდიის უკვდავება და ჰარმონიის მშვენიერება, შერ-წყმული საოცრად ტკბილხმოვან ტემბრებთან. ეს არის ჩემთვის ეს ჯგუფი და საოცარი გავლე-ნა მისი ჩემზე მდგომარეობს იმაში, რომ მეც შეძლებისდაგვარად ლამაზად სიმღერის შეს-რულების სურვილი აღმიძრა და მისი სიყვარუ-ლი დღემდე მაქვს!!!

**გიორგი სუხიტაშვილი:**

— „ბითლზი“ ჩემთვის მაგალითია იმისა, რომ უდაბნოში შეგიძლია გააშენო უნიკალური ბაღი. ისინი ისეთ დროს ისეთი მუსიკით გაჩ-ნდნენ, თითქოს სხვა პლანეტიდან ჩამოვიდნენ.

**მერაბ სანოძე:**

— „ბითლზი“ იყო პირველი, არის პირველი და ყოველთვის დარჩება პირველი. სხვა ვარიან-ტი არ არსებობს. ეს არის ჯგუფი, რომელიც საუკუნეებს გაუძლებს და კიდევ არაერთ მუსი-კოსსა თუ მომღერალს გაუკვალავს გზას ჭეშმა-რიტ მუსიკაში.

მთელი ჩემი ახალგაზრდობა რინგო სტარს ვბაძავდი, მინდოდა, მასავით დამეკრა. რამდე-ნად გამომდიოდა, არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, რომ ამ ჯგუფის თითოეულმა წევრმა ჩემს შემოქმე-დებით ცხოვრებაზე უდიდესი კვალი დატოვა. დღესაც კი, რა მუსიკაც იქმნება მსოფლიოში, ყველგან მათი გავლენაა, ყველაფერი მაინც მათ-გან არის გადმოღებული.

ძვალ-სახსართა პრობლემების:
კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოს-ტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმა-ტოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანე-ბული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალან-სება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერ-ვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარე-ული პრეპარატებით, წონის დარეგულირე-ბით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმ-უნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვე-ნება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.
☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# სტოლტენბერგი: როგორ გავანეიტრალოთ რუსული აგრესია

## „რუსეთთან კონფრონტაცია არ გვსურს“




მიუხედავად ეკონომიკური კრიზისისა, რუსეთი შეიარაღებულ ძალებს აძლიერებს. უზარმაზარი თანხებია გამოყოფილი საზღვარგარეთ პრორუსული ლობის დაფინანსებისთვისაც, რომლის აქტიურობაც ასევე იზრდება.

— ეს ჩვენს სერიოზულ შეშფოთებას იწვევს, — განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა.

მან აღნიშნა, რომ რუსული პროპაგანდა შოვინისტური და აგრესიულია. ის ტყუილმართლის ოსტატურ ნაზავს წარმოადგენს. შედეგად იქმნება ვირტუალური სურათი, ისეთი, რაც კრემლისთვისაა ხელსაყრელი.

სტოლტენბერგმა აღნიშნა, რომ ნატო ამასთან შეგუებას არ აპირებს. უკვე შემუშავებულია სტრატეგია, რომელიც რუსული პროპაგანდის განეიტრალებას ითვალისწინებს.

დოკუმენტი ჯერაც განხილვის სტადიაშია, თუმცა ნატოს წევრმა ზოგიერთმა ქვეყანამ (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, პოლონეთი) ის უკვე მოიწონა. რაც შეეხება კონკრეტულ ნაბიჯებს, ისინი უკვე გადაიდგა. თავდაცვაზე გამოყოფილი ხარჯების შემცირება არ მოხდება, ინტენსიურად განხორციელდება პოლონეთის, ბალტიის ქვეყნების შეიარაღებული ძალების გაძლიერება.

— ნატო თავის ისტორიის მანძილზე ყველაზე სერიოზული გამოცდის წინაშე აღმოჩნდა. გამოცდა ღირსეულად უნდა ჩავაბაროთ, — აცხადებს სტოლტენბერგი.

ამავე დროს, ნატოს გენერალური მდივანი რუსეთთან დიალოგისთვის მზადაა, მიუხედავად უკრაინული კრიზისისა. მან აგრეთვე თქვა, რომ თანახმაა, ნატო-რუსეთის სამიტი ჩატარდეს და ყველა საკითხი დიალოგის გზით გადაიჭრას.

— რუსეთთან კონფრონტაცია სულაც არ გვინდა. პირიქით, რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესება გვსურს. თუკი ბატონი პუტინი თავის აგრესიულ პოლიტიკაზე უარს განაცხადებს, ყველაფერი კარგად იქნება, — ამბობს სტოლტენბერგი.

# რუსული თვითმფრინავი ამერიკულს კინაღამ დაეჯახა



შავ ზღვასთან რუსული გამანადგურებელი ამერიკულ თვითმფრინავს სახიფათო მანძილზე მიუახლოვდა.

საბედნიეროდ, შეტაკება არ მოხდა.

— რუსების არაპროფესიული მოქმედების შედეგად კინაღამ სისხლი დაიღვარა, — განაცხადა პენტაგონის წარმომადგენელმა, პოლკოვნიკმა მიშელ ბალდანზამ.

ამერიკული მხარე აცხადებს, რომ კარგა ხანს სურდა, რუსებთან უსაფრთხო ფრენის საკითხი შეეთანხმებინა. თითქოს ყველაფერმა კარგად ჩაიარა, შეთანხმებაც შედგა. მიუხედავად ამისა, ინციდენტები მაინც ხდება.

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);

2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);

3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;

4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);

5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

# თეთრი სახლი: „პუტინი მართლაც კორუმპირებულია“

თეთრი სახლის პრეს-მდივანმა ჯოშუა ერნსტმა მორიგი ბრიფინგი ჩაატარა. მან განაცხადა, რომ სავსებით ეთანხმება აშშ-ს ფინანსთა სამინისტროს ბრალდებას ვლადიმერ პუტინის კორუმპირებულობის შესახებ.

— ეს პრეზიდენტ ობამას ადმინისტრაციის პოზიციაა, — თქვა ერნსტმა.

თეთრი სახლის პრეს-მდივანმა აღნიშნა, რომ საეჭვოა, უახლოეს მომავალში რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციები შესუსტდეს, რადგან რუსეთი აგრესიულ პოლიტიკას განაგრძობს.



— რუსეთის პრეზიდენტს სურს, დონბასზე სამხედრო-პოლიტიკური პროტექტორატი შეინარჩუნოს, — თქვა ერნსტმა.

ჟურნალისტის შეკითხვა, პუტინის კორუმპირებულობის შესახებ აქამდე თუ იცოდითო, ერნსტმა უპასუხოდ დატოვა.

# ჩრდილოეთ კორეა კოსმოსში გასასვლელად ემზადება




ამერიკის დაზვერვის ცნობით, ჩრდილოეთ კორეა კოსმოსში გასვლისთვის ემზადება.

კორეელებს სათანადო ტექნოლოგია უკვე გააჩნიათ. ამას გარდა, ინტენსიურად მიმდინარეობს მუშაობა საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების დამზადებაზე. აშშ-ს სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა ერთხმად მიიღო დადგენილება ჩრდილოეთ კორეის მიმართ სანქციების გამკაცრების თაობაზე.

— ჩრდილოეთ კორეაში ანტიდემოკრატიული და აგრესიული რეჟიმია, ითრგუნება ადამიანის უფლებები, — ნათქვამია დადგენილებაში.

# იემენის პრეზიდენტის რეზიდენციასთან აფეთქება მოხდა



ადენში იემენის პრეზიდენტის რეზიდენციასთან აფეთქება მოხდა. იემენელი ძალოვნები ვარაუდობენ, რომ ტერორისტების მიზანი არა პრეზიდენტის, არამედ ადენის გუბერნატორის ლიკვიდაცია იყო.

მომხდართან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, მიმდინარეობს გამოძიება.

# პარიზის დისნეილენდში შეიარაღებული მამაკაცი დააკავეს



პარიზის დისნეილენდში შეიარაღებული მამაკაცი დააკავეს. მას აღმოაჩნდა პისტოლეტი, ვაზნებით სავსე კოლოფი და ყურანი. დაკითხვაზე მამაკაცმა განაცხადა, რომ იარაღი თავდაცვის მიზნით სჭირდებოდა.

დაკავებული მამაკაცი აქამდე სპეცსამსახურების ყურადღების ქვეშ არ მოხვედრილა.

ჯერჯერობით ის წინასწარი დაკავების საკანში იმყოფება, გამოძიება კი გრძელდება.

# ჩეჩნეთში ისლამური ბანკი იხსნება



ჩეჩნეთის პრორუსული ხელისუფლების ხელმძღვანელმა რამზან კადიროვმა განაცხადა, რომ მალე რესპუბლიკაში ისლამური ბანკი გაიხსნება.

კადიროვმა ხაზი გაუსვა, რომ ყველა მოსამზადებელი სამუშაო დასრულებულია. შეკითხვაზე, ისლამური ბანკი რას ნიშნავსო, მან მიუგო:

— აქ აკრძალული იქნება ნებისმიერი ფინანსური სპეკულაცია! ბანკი შარიათის კანონმდებლობის თანახმად იფუნქციონირებს!

ექსპერტი ვიტალი პორტნიკოვი წერს, რომ კადიროვის მმართველობისას რესპუბლიკის ისლამიზაციის პროცესი ინტენსიურად ხორციელდება.

— დღეს ჩეჩნეთი დე-ფაქტოდ რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაშია, სინამდვილეში მისი სტატუსი უფრო ბუხარის საემიროს ან ხივის სახანოს მდგომარეობას მოგვაგონებს. ეს სახელმწიფოები ცარიზმის დროს ფორმალურად დამოუკიდებლები იყვნენ და რუსეთის ვასალებად ითვლებოდნენ, — წერს ექსპერტი.

მისი თქმით, რამზან კადიროვის უფლებები ბუხარის ემირის ან ხივის ხანის უფლებებზე ბევრად მეტია.

— პუტინი ამაზე თვალს ხუჭავს, რადგან, კადიროვის წყალობით, ჩეჩნეთი, ასე თუ ისე, რუსეთის ფედერაციის ნაწილად რჩება, — აღნიშნავს პორტნიკოვი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

სერტიფიცირებული კოსმეტოლოგი მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

### მკურნალობა

● მიკროსაფინანსოთა საყურადღებოდ! მეტრო „ახმეტელთან“, ხალხმრავალ ადგილას, ხიზანიშვილის ქუჩაზე, I სართულზე ქირავდება ამავე პროფილით მომუშავე ახალგარემონტებული ფართი 18+14 კვადრატული მეტრი, საკუთარი სველი წერტილებით. გამქირავებლისთვის უმჯობესია პროფილის (და რემონტის!!!) შენარჩუნება. ტელ: 599-94-51-82; 591-68-90-20.

● გასახდომი ყავა!!! ხარისძირას სპეციალური ჯიშით გამდიდრებულ 3-კომპონენტიან ანტილიპიდურ კუპაჟს გააჩნია ანტიდიაბეტური თვისებები!!! მის: თამარ მეფის 27 (რკ.სადგურთან). ტელ: 577-52-88-41.

● მხოლოდ აქ! თამარ მეფის 27-ში. „პლანტა“ — ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზურიც!); „პლანტა-გლანდა“ — ჩირქოვანი გლანდები, ხვრინვა, გრიპის პროფილაქტიკა; „პლანტა+“ — მასტოპათია (კვანძები!), პოლიკისტოზი, ფიბრომა, უნაყოფობა; „პლანტა-7“ — წყლული, ჰეპატიტი, პროსტატიტი, ადენომა, პოტენცია. ზემოთ აღნიშნულ სერთიფიცირებულ სიროფებს გააჩნიათ ანტისიმსივნური თვისებები! ტელ: 558-59-59-82.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით — სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● ქირავდება 3 ოთახიანი ბინა ცოტნე დადიანზე, მიშენებით, ევრორემონტით, ავეჯით, ტექნიკით, გარაჟით, სათავსოებით. ფასი 300. ტელ.599512607. 577779704.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

# ევროპა მადონინასა და მადრიდულ-ბარსელონური ჯახის მოლოდინში

ამ უქმეებზე ინგლისი ისვენებს, მაგრამ მოსვენება არ ექნებათ გულშემატკივრებს. ან რა მოასვენებთ, როდესაც იტალიაში მადონინაა — მილანი-ინტერი.

მადონინა დერბია და თავისი დატვირთვა აქვს, მაგრამ სად გავექცევით ესპანეთში ბარსელონა-ატლეტიკოს?

## ესპანეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 30.01 ბარსელონა-ატლეტიკო | 1.5 | 4.0 | 7.0 |
| 30.01 ეიბარი-მალაგა | 2.6 | 3.0 | 2.9 |
| 30.01 ხეტაფე-ბილბაო | 3.5 | 3.25 | 2.15 |
| 30.01 ვილიარეალი-გრანადა | 1.44 | 4.2 | 7.5 |
| 30.01 სოსიედადი-ბეტისი | 1.75 | 3.6 | 4.8 |
| 31.01 სევილია-ლევანტე | 1.35 | 4.8 | 9.0 |
| 31.01 ვალენსია-ხიხონი | 1.7 | 3.75 | 4.8 |
| 31.01 ლას პალმასი-სელტა | 2.5 | 3.2 | 2.87 |
| 31.01 რეალი-ესპანიოლი | 1.1 | 9.0 | 21.0 |
| 01.02 დეპორტივო-რაიო | 1.83 | 3.6 | 4.2 |

**ბარსელონა-ატლეტიკო**

ბარსელონა: ***ტრავმ***-ნეიმარი, ხორდი ალბა, რაფინია

ატლეტიკო: ***ტრავმ***-ფერნანდო ტორესი, ტიაგო

**ეიბარი-მალაგა**

ეიბარი: ***ტრავმ***-ანტონიო ლუნა

მალაგა: ***ტრავმ***-ხუან კარლოსი

**ხეტაფე-ბილბაო**

ხეტაფე: ***ტრავმ***-ალვარო მედრანი

ბილბაო: ***ტრავმ***-იბაი გომესი, ანდერ იტურასპე, რაულ გარსია

**ვილიარეალი-გრანადა**

ვილიარეალი: ***ტრავმ***-სამუ, ადრიანი

გრანადა: ***ტრავმ***-ადალბერტო პენარანდა, დიეგო მაინცი

**სოსიედადი-ბეტისი**

სოსიედადი: ***ტრავმ***-იური ბერჩიჩე, კარლოს მარტინესი, სერხიო კანალესი, იმანოლ აგირეჩე, დავიდ ზურუტუზა

ბეტისი: ***ტრავმ***-კრისტიანო პიცინი, ჰეიკო ვესტერმანი

**სევილია-ლევანტე**

სევილია: ***ტრავმ***-მარკო ანდრეოლი

ლევანტე: ***ტრავმ***-რუბენ გარსია, ხუანფრანი, ხოსე მარი, ვიქტორ კასადესუსი

**ვალენსია-ხიხონი**

ვალენსია: ***ტრავმ***-პაკო ალკასერი, ხავი გუეგო, ენცო პერესი, სოფიან ფეგული

ხიხონი: ***ტრავმ***-ბერნარდო ესპინოზა

**ლას პალმასი-სელტა**

ლას პალმასი: ***ტრავმ***-ხოსე ვისენტე გომესი, ჰერმანი, ხავი კასტელანო

სელტა: ***ტრავმ***-ნოლიტო, ენდრიუ ფონტასი

**რეალი-ესპანიოლი**

რეალი: ***ტრავმ***-გარეთ ბეილი

ესპანიოლი: ***ტრავმ***-ვიქტორ სანჩესი, ანაიტც არბილია

**დეპორტივო-რაიო**

დეპორტივო: ***ტრავმ***-ფედერიკო კარტაბია, ცელსო ბორხესი

რაიო: ***ტრავმ***-ადრი ემბარბა, ტონო, რაზვან რაცი, პატრიკ ებერტი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 20 | 15 | 3 | 2 | 52-16 | 48 |
| 2.ატლეტიკო | 21 | 15 | 3 | 3 | 30-8 | 48 |
| 3.რეალი | 21 | 13 | 5 | 3 | 58-20 | 44 |
| 4.ვილიარეალი | 21 | 12 | 5 | 4 | 28-18 | 41 |
| 5.სელტა | 21 | 10 | 4 | 7 | 32-33 | 34 |
| 6.ეიბარი | 21 | 9 | 6 | 6 | 34-26 | 33 |
| 7.სევილია | 21 | 9 | 6 | 6 | 28-22 | 33 |
| 8.ბილბაო | 21 | 9 | 4 | 8 | 32-30 | 31 |
| 9.დეპორტივო | 21 | 6 | 11 | 4 | 28-25 | 29 |
| 10.ხეტაფე | 21 | 7 | 5 | 9 | 26-31 | 26 |
| 11.ვალენსია | 21 | 5 | 10 | 6 | 26-22 | 25 |
| 12.მალაგა | 21 | 6 | 6 | 9 | 16-19 | 24 |
| 13.ესპანიოლი | 21 | 6 | 4 | 11 | 20-35 | 22 |
| 14.ბეტისი | 21 | 5 | 7 | 9 | 14-29 | 22 |
| 15.სოსიედადი | 21 | 5 | 6 | 10 | 24-33 | 21 |
| 16.გრანადა | 21 | 5 | 5 | 11 | 24-43 | 20 |
| 17.რაიო | 21 | 5 | 4 | 12 | 26-45 | 19 |
| 18.ლას პალმასი | 21 | 4 | 6 | 11 | 21-33 | 18 |
| 19.ხიხონი | 20 | 5 | 3 | 12 | 22-35 | 18 |
| 20.ლევანტე | 21 | 4 | 5 | 12 | 20-38 | 17 |

## გერმანია

| | | | |
|---|---|---|---|
| 30.01 დორტმუნდი-ინგოლშტადი | 1.15 | 7.5 | 17.0 |
| 30.01 ლევერკუზენი-ჰანოვერი | 1.28 | 5.5 | 10.0 |
| 30.01 დარმშტადი-შალკე | 3.2 | 3.3 | 2.25 |
| 30.01 აუგსბურგი-აინტრახტი | 2.05 | 3.5 | 3.5 |
| 30.01 ვერდერი-ჰერტა | 2.6 | 3.4 | 2.62 |
| 30.01 შტუტგარტი-ჰამბურგი | 1.91 | 3.6 | 3.8 |
| 31.01 ვოლფსბურგი-კიოლნი | 1.67 | 4.0 | 4.8 |
| 31.01 ბაიერნი-ჰოფენჰაიმი | 1.1 | 9.5 | 21.0 |

**დორტმუნდი-ინგოლშტადი**

დორტმუნდი: ***ტრავმ***-მარსელ შმელცერი, სვენ ბენდერი

ინგოლშტადი: ***ტრავმ***-ტობიას ლეველსი, ტომას პეხარტი, მარკუს სუტნერი

**ლევერკუზენი-ჰანოვერი**

ლევერკუზენი: ***ტრავმ***-რობერტო ჰიბერტი, სებასტიან ბენიში, ლარს ბენდერი

ჰანოვერი: ***ტრავმ***-ჩარლისონ ბენშოპი, ლეონ ანდრეასენი, უფე ბეხი, ჰიროში კიიოტაკე

**დარმშტადი-შალკე**

დარმშტადი: ***ტრავმ***-არავინ

შალკე: ***ტრავმ***-დენის აოგო, ბენედიკტ ჰიოვედესი, მარკო ჰოგერი, მატია ნასტასიჩი

**აუგსბურგი-აინტრახტი**

აუგსბურგი: ***ტრავმ***-კო ჯა-ჩეოლი, იაჰ-ინგვერ კალსენ-ბრაკერი, ტობიას ვერნერი

აინტრახტი: ***ტრავმ***-შტეფან რეინალტცი, იოანეს ფლუმი, ლუკ კასტაინოსი

**ვერდერი-ჰერტა**

ვერდერი: ***ტრავმ***-ალეხანდრო კალვესი, იანეკ სტერნბერგი, ლუკა ზანდერი, ასანი ლუკიმია, არონ იოჰანსენი

ჰერტა: ***ტრავმ***-რონი, ტომას კრაფტი, როი ბეერენსი, თოლგა, იანი რეგასელი

**შტუტგარტი-ჰამბურგი**

შტუტგარტი: ***ტრავმ***-კარლოს გრუეზო, ოდისეას ვლაჩოდიმოსი, მარტინ ჰარნიკი, დანიელ გინსეკი

ჰამბურგი: ***ტრავმ***-ემირ სპაჰიჩი, ანდრეას ჰირცელი, ნიკოლაი მიულერი, ალბინ ეკდალი

**ვოლფსბურგი-კიოლნი**

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***-ფრანსისკო როდრიგესი, ბას დოსტი, მაქსიმილიან არნოლდი

კიოლნი: ***ტრავმ***-არავინ

**ბაიერნი-ჰოფენჰაიმი**

ბაიერნი: ***ტრავმ***-რაფინია, ფრანკ რიბერი, მეჰდი ბენატია, ხუან ბერნატი, მარიო გიოტცე

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***-ნადიემ ამირი, პირმინ შვეგლერი, ტარიკ ელიონოუსი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 18 | 16 | 1 | 1 | 48-9 | 49 |
| 2.დორტმუნდი | 18 | 13 | 2 | 3 | 50-24 | 41 |
| 3.ჰერტა | 18 | 10 | 3 | 5 | 26-18 | 33 |
| 4.გლადბახი | 18 | 9 | 2 | 7 | 35-33 | 29 |
| 5.ლევერკუზენი | 18 | 8 | 4 | 6 | 26-21 | 28 |
| 6.შალკე | 18 | 8 | 3 | 7 | 24-26 | 27 |
| 7.ვოლფსბურგი | 18 | 7 | 5 | 6 | 28-24 | 26 |
| 8.მაინცი | 18 | 7 | 3 | 8 | 23-24 | 24 |
| 9.კიოლნი | 18 | 6 | 6 | 6 | 19-24 | 24 |
| 10.ინგოლშტადტი | 18 | 6 | 5 | 7 | 12-18 | 23 |
| 11.ჰამბურგი | 18 | 6 | 4 | 8 | 20-25 | 22 |
| 12.დარმშტადტი | 18 | 5 | 6 | 7 | 19-27 | 21 |
| 13.აუგსბურგი | 18 | 5 | 5 | 8 | 21-26 | 20 |
| 14.აინტრახტი | 18 | 5 | 5 | 8 | 24-30 | 20 |
| 15.შტუტგარტი | 18 | 5 | 3 | 10 | 25-38 | 18 |
| 16.ვერდერი | 18 | 5 | 3 | 10 | 20-33 | 18 |
| 17.ჰოფენჰაიმი | 18 | 2 | 8 | 8 | 18-26 | 14 |
| 18.ჰანოვერი | 18 | 4 | 2 | 12 | 19-31 | 14 |

## იტალია

| | | | |
|---|---|---|---|
| 30.01 კარპი-პალერმო | 2.3 | 3.1 | 3.3 |
| 30.01 ატალანტა-სასუოლო | 2.5 | 3.2 | 2.9 |
| 30.01 რომა-ფროზინონე | 1.25 | 6.0 | 11.0 |
| 31.01 კიევო-იუვენტუსი | 6.5 | 3.75 | 1.57 |
| 31.01 ჯენოა-ფიორენტინა | 2.87 | 3.3 | 2.45 |
| 31.01 ნაპოლი-ემპოლი | 1.28 | 5.5 | 10.0 |
| 31.01 უდინეზე-ლაციო | 3.1 | 3.1 | 12.4 |
| 31.01 ტორინო-ვერონა | 1.5 | 4.0 | 7.0 |
| 31.01 ბოლონია-სამპდორია | 2.15 | 3.25 | 3.5 |
| 31.01 მილანი-ინტერი | 2.45 | 3.2 | 2.9 |

**კარპი-პალერმო**

კარპი: ***ტრავმ***-იგორ ბუბნიჩი, მატეო ფედელე; ***დისკვ***-ლორენცო პასკუიტი

პალერმო: ***ტრავმ***-არავინ

**ატალანტა-სასუოლო**

ატალანტა: ***ტრავმ***-გაბრიელ პალეტა, კარლოს კარმონა

სასუოლო: ***ტრავმ***-სიმონე მისიროლი, ემანუელე ტერანოვა

**რომა-ფროზინონე**

რომა: ***ტრავმ***-კევინ სტროოტმანი

ფროზინონე: ***ტრავმ***-რობერტო კრიველო; ***დისკვ***-მირკო გორი

**კიევო-იუვენტუსი**

კიევო: ***ტრავმ***-ალესანდრო გამბერინი, რიკარდო მეჯორინი, ფედერიკო მატიელო; ***დისკვ***-ბოსტიან სეზარი

იუვენტუსი: ***ტრავმ***-მარიო ლემინა; ***დისკვ***-პატრის ევრა

**ჯენოა-ფიორენტინა**

ჯენოა: ***ტრავმ***-არავინ

ფიორენტინა: ***ტრავმ***-მილან ბადელი

**ნაპოლი-ემპოლი**

ნაპოლი: ***ტრავმ***-არავინ

ემპოლი: ***ტრავმ***-არავინ

**უდინეზე-ლაციო**

უდინეზე: ***ტრავმ***-ალექსანდერ მერკელი

ლაციო: ***ტრავმ***-ლუკას ბილია, სტეფან დე ვრეი; ***დისკვ***-სენად ლულიჩი, შტეფან რადუ

**ტორინო-ვერონა**

ტორინო: ***ტრავმ***-არავინ; ***დისკვ***-ჯუზეპე ვივესი, კამილ გლიკი

ვერონა: ***ტრავმ***-ფედერიკო ვივიანი, რომულო

**ბოლონია-სამპდორია**

ბოლონია: ***ტრავმ***-დომენიკო მაიეტა

სამპდორია: ***ტრავმ***-არავინ; ***დისკვ***-მატია კასანი

**მილანი-ინტერი**

მილანი: ***ტრავმ***-როდრიგო ელი, დიეგო ლოპესი, ჯერემი მენეზი

ინტერი: ***ტრავმ***-არავინ

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 21 | 14 | 5 | 2 | 45-18 | 47 |
| 2.იუვენტუსი | 21 | 14 | 3 | 4 | 38-15 | 45 |
| 3.ფიორენტინა | 21 | 13 | 2 | 6 | 39-21 | 41 |
| 4.ინტერი | 21 | 12 | 5 | 4 | 26-14 | 41 |
| 5.რომა | 21 | 9 | 8 | 4 | 37-24 | 35 |
| 6.მილანი | 21 | 9 | 6 | 6 | 29-25 | 33 |
| 7.სასუოლო | 21 | 8 | 8 | 5 | 25-23 | 32 |
| 8.ემპოლი | 21 | 9 | 5 | 7 | 27-26 | 32 |
| 9.ლაციო | 21 | 9 | 4 | 8 | 29-30 | 31 |
| 10.კიევო | 21 | 7 | 6 | 8 | 27-26 | 27 |
| 11.ტორინო | 21 | 7 | 5 | 9 | 27-28 | 26 |
| 12.ბოლონია | 21 | 8 | 2 | 11 | 24-27 | 26 |
| 13.ატალანტა | 21 | 7 | 5 | 9 | 21-24 | 26 |
| 14.პალერმო | 21 | 7 | 3 | 11 | 23-34 | 24 |
| 15.უდინეზე | 21 | 7 | 3 | 11 | 19-35 | 24 |
| 16.ჯენოა | 21 | 6 | 5 | 10 | 24-27 | 23 |
| 17.სამპდორია | 21 | 6 | 5 | 10 | 31-36 | 23 |
| 18.კარპი | 21 | 4 | 6 | 11 | 20-36 | 18 |
| 19.ფროზინონე | 21 | 4 | 4 | 13 | 22-45 | 16 |
| 20.ვერონა | 21 | 0 | 10 | 11 | 14-33 | 10 |

## საფრანგეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 30.01 ანჟე-მონაკო | 3.3 | 3.1 | 2.4 |
| 30.01 ტრუა-ნანტი | 3.0 | 3.25 | 2.37 |
| 30.01 ბასტია-ლიონი | 5.0 | 3.3 | 1.8 |
| 30.01 ტულუზა-გენგამი | 2.15 | 3.2 | 3.6 |
| 30.01 ლორიანი-რეიმსი | 2.15 | 3.3 | 3.4 |
| 30.01 გაზელეკი-მონპელიე | 2.62 | 3.1 | 2.8 |
| 31.01 კაენი-ნიცა | 2.3 | 3.3 | 3.1 |
| 31.01 ბორდო-რენი | 2.2 | 3.2 | 3.4 |
| 31.01 სტ.ეტიენი-პსჟ | 5.5 | 4.0 | 1.57 |

**ანჟე-მონაკო**

ანჟე: ***ტრავმ***-ფერებორი დორე

მონაკო: ***ტრავმ***-ჯერემი ტულალანი, ნაბილ დირარი, ივან კავალიერო, უვა ეჩიეჯილე, ალმამი ტურე, ადამა ტრაორე

**ტრუა-ნანტი**

ტრუა: ***ტრავმ***-იოან მარსიალი, მორი კონე

ნანტი: ***ტრავმ***-იოან აუდელი, იუსუფ საბალი, ალექსის ელანდი, ვალენტინ რონგიე

**ბასტია-ლიონი**

ბასტია: ***ტრავმ***-ფლორიან რასპენტინო, კრისტოფერ მაბულუ

ლიონი: ***ტრავმ***-ანრი ბედიმო, ნაბილ ფეკირი

**ტულუზა-გენგამი**

ტულუზა: ***ტრავმ***-ეტიენ დიდო, პავლე ნინკოვი, ჟან-არმელ კანა-ბიიკი

გენგამი: ***ტრავმ***-ნილ დე პოუ, მამადუ სამასა, მაქსინ ბაკა

**ლორიანი-რეიმსი**

ლორიანი: ***ტრავმ***-მორიკე ფოფანა, მარვინ გაკპა, მაიედ უორისი, ვესლი ლაუტოლა

რეიმსი: ***ტრავმ***-მოჰამედ ფოფანა, ფრედერიკ ბული, უგო როდრიგესი, ანტუან კონტე

**გაზელეკი-მონპელიე**

გაზელეკი: ***ტრავმ***-ალასანე ტურე

მონპელიე: ***ტრავმ***-მორგან სანსონი, იორის მავრო, პოლ ლანსე

**კაენი-ნიცა**

კაენი: ***ტრავმ***-ერვე ბაზილე, დამიენ და სილვა

ნიცა: ***ტრავმ***-რიკარდო პერეირა, მაჰამანე ტრაორე, მიკაელ ლე ბიანი, ალასანე პლეა, სიმონ პუპლინი

**ბორდო-რენი**

ბორდო: ***ტრავმ***-ნიკოლას პალოისი, ჟუსიე, ნიკოლას მორის-ბელაი, ისააკ კიესე, მილან გაიჩი, პაბლო, გრეგუარ სერტიჩი

რენი: ***ტრავმ***-იოან გურკუფი, პედრო ენრიკე, პედრო მენდესი, ლუდოვიკ ბაალი, ედსონ მექსე

**სტ.ეტიენი-პსჟ**

სტ.ეტიენი: ***ტრავმ***-რომან ჰამუმა, ბენუა ასოუ-ეკოტო, ისმაელ დიომანდე, ფრანსუა კლერკი

პსჟ: ***ტრავმ***-მარკო ვერატი, სალვატორე სირიგუ, მარკინიოსი, ხავიერ პასტორე, ტიაგო სილვა

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 22 | 19 | 3 | 0 | 56-10 | 60 |
| 2.მონაკო | 22 | 10 | 9 | 3 | 33-25 | 39 |
| 3.ნიცა | 22 | 10 | 6 | 6 | 37-26 | 36 |
| 4.რენი | 22 | 8 | 10 | 4 | 32-25 | 34 |
| 5.ანჟე | 22 | 9 | 7 | 6 | 21-18 | 34 |
| 6.სტ.ეტიენი | 22 | 10 | 3 | 9 | 25-25 | 33 |
| 7.კაენი | 22 | 10 | 3 | 9 | 24-28 | 33 |
| 8.მარსელი | 22 | 7 | 9 | 6 | 32-23 | 30 |
| 9.ლიონი | 22 | 8 | 6 | 8 | 28-26 | 30 |
| 10.ბორდო | 22 | 7 | 9 | 6 | 27-30 | 30 |
| 11.ნანტი | 22 | 7 | 8 | 7 | 20-22 | 29 |
| 12.ლორიანი | 22 | 6 | 9 | 7 | 30-32 | 27 |
| 13.გაზელეკი | 22 | 6 | 8 | 8 | 24-27 | 26 |
| 14.ლილი | 22 | 5 | 10 | 7 | 17-18 | 25 |
| 15.ბასტია | 22 | 7 | 4 | 11 | 21-27 | 25 |
| 16.გენგამი | 22 | 6 | 6 | 10 | 20-29 | 24 |
| 17.რეიმსი | 22 | 5 | 8 | 9 | 23-30 | 23 |
| 18.მონპელიე | 22 | 6 | 4 | 12 | 23-29 | 22 |
| 19.ტულუზა | 22 | 4 | 8 | 10 | 24-39 | 20 |
| 20.ტრუა | 22 | 1 | 8 | 13 | 16-44 | 11 |



# ღვთისმოშიში ფეხბურთელები

დასაწყისი მე-12 გვერდზე

პაულო ფერეირამ იმ შეხვედრაში რონალდინიოს „შეჩერება“ ერთი რიტუალით შეძლო: პორტუგალიელმა შესვენების დროს ბრაზილიელს მაისურის გაცვლა სთხოვა, რონალდინიო გაკვირვებული დარჩა, თუმცა მან თავისი მაისური ფერეირას მისცა.

— მე მის მაისურზე რიტუალი ჩავატარე. რონალდინიო მეორე ტაიმში არ იყო სახიფათო. მან გოლის გატანა ვერ შეძლო. ჩვენ გავიმარჯვეთ! — განაცხადა მოგვიანებით ფერეირამ.

### ფრანკ რიბერი

ფრანკ რიბერი 2006 წლამდე მუსლიმანი არ გახლდათ, თუმცა მას შემდეგ, რაც ის ალჟირელ გოგონას, ვაიბოს შეხვდა, არათუ ცოლად მოიყვანა, არამედ მის რელიგიაზეც გადავიდა. რიბერიმ მიიღო ისლამი და ეს გადაწყვეტილება მას ერთ წამითაც არ უნანია.

— მე ცხოვრება ვიპოვე. ახლა ვხვდები, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ის ჩემთვის. ისლამი რთული სიტუაციებიდან დაღწევაში მეხმარება. ყურანი წავიკითხე და შოკი მივიღე. ეს დედამიწის პლანეტის ყველაზე ბრძნული წიგნია, — ამბობს ფრანკ რიბერი.

აღსანიშნავია, რომ რიბერი ერთ-ერთ ლოცვას მეჩეთში შეხვდა.

### ძმები ტურეები

ძმები რელიგიას ძალიან სერიოზულად უდგებიან.

— ყველა ჩემი წარმატება ალაჰის ნებაა. მან ჩემი ცხოვრება შეცვალა. დარწმუნებული ვარ, რომ რწმენის გარეშე მე წარმატებას ვერასდროს მივაღწევდი, — ამბობს იაია ტურე, რომელიც ერთ-ერთი მატჩის შემდეგ შამპანურით დააჯილდოეს.

— თქვენ რა, გაგიჟდით? მუსლიმანი ვარ და ალკოჰოლს არ ვეკარები, — ასეთი იყო საჩუქარზე იაიას პასუხი.

სხვათა შორის, იაია მუსლიმ ხალხს ფინანსურად ძალიან ხშირად ეხმარება. იგივე შეიძლება ითქვას მის ძმაზე — კოლო ტურეზეც, რომელმაც რამდენიმე ხნის წინ აფრიკელ ხალხს ოცნება აუსრულა და ერთ-ერთ ქალაქში წყალი გაიყვანა.

მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# TV პროგრამა

## ორშაბათი 1 თებერვალი

06.30 მუსიკა I არხზე 07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00 01.00 "მოამბე" 07.05, 09.10 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 10.50, 23.00 ტ/სერ. "**დაუნტონის სააბატო**" 12.30 "ფერმა" 13.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 14.05 "მუსიკოლოგისი" 14.30 ან/ფ "მხიარული ფერმა" 15.00 დ/ფ "ჯეიმი ოლივერის დიდი ბრიტანეთი" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. "**ქალი**" 19.00 "ტელებლოგი" 19.30 "სიტყვების თამაში" 20.30 "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" 21.00 თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" 22.00 "სპორტი გიორგი ზურაბიშვილთან ერთად" 23.00 ტ/სერ. "**დაუნტონის სააბატო**" 00.00 "კომუნიკატორი" 01.10 მხ/ფ "**ჩემი ადგილი მზის ქვეშ**" 03.00 "პირადი ექიმი" 03.50 "კომუნიკატორი"

08.00 დ/ფ "ლეტეცია და მისი მგლები" 09.00 მხ/ფ "**გულის მოგზაურობა**" 10.30 დ/ფ "დიდი ბრიტანეთი" 11.00 ქართ. მხ/ფ "**ლაგა**" 12.30 დ/ფ "საფრანგეთი" 13.00 დ/ფ "მონდრიანის სახელოსნოში" 14.00 "ეპიცენტრი" (შაბ. გ/ჩვ) 15.00, 18.00, 21.00, 22.30, 23.30 "ბრიფინგის დრო" 16.00 ტ/სერ. "**ნიკიტა**" 17.00 "პოლიტალტერნატივა" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (5 ენაზე) 21.30 "გამოძიებული რეპორტიორი" 23.00 "ნამდვილი დრო"

06.00, 14.40 სერ. "**ორი ბედი**" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.40 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "**ოცი წუთი**" 11.20 სერ. "**კონტრაქტის პირობები**" 12.30 დღის შოუ 16.00 სერ. "**თანხმობა**" 1 სერ. 17.35, 19.03 სერ. "**პატარძალი**" 20.55 სერ. "**ნამსხვრევები**" 22.00 იუმორინა 00.00 მხ/ფ "**ნოკაუტი**" (მ.დგალოსი) 01.50 მხ/ფ "**ანგარიშსწორება**" (ჰ.ჯადატი) 03.45 ერთხელ საქართველოში 04.05 მხ/ფ "**ოლიმპოს დაცემა**" (ა.ფუკუა)

06.30, 19.45, 20.05 სერ. "**ალიქმა**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.30, 14.05 "შუა დღე" 15.45 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" 16.55 სერ. "**ინდური საგა**" 18.45 სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" 22.00 ქ.მხ/ფ. "**შემთხვევითი პაემანი**" 23.30, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

8.30, 18.30 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები. 9.00 Discovery. ბეკონის შეერთებული შტატები 10.00 ან/სერ. "**ავატარი ლეგენდა აანგის შესახებ**" 10.30 ჯგიდიპედია 11.30 შუადღე 14.00 სერ. "**ჯონათან სტრეინჯი და მისტერ ნორელი**" 15.00, 19.00 სერ. "**ახალი გოგო**". 15.30, 19.30 სერ. "**ცენტრი**" 16.00 Discovery. ბეკონის შეერთებული შტატები 16.30 აირჩიე კაბა 17.00 საქორწილო გარდასახვა 17.30 ან/სერ. "**ავატარი ლეგენდა აანგის შესახებ**" 20.00 ცოლები და ქმრები 20.30 20.30 22.00 მზარეულები 22.30 ტრილისი 23.40 მხ/ფ 2.35 ID Extra დანაშაულები, რომლებმაც მსოფლიო შეძრა

